სახელმძღვანელო პრინციპები ბულინგისა და კიბერბულინგის პროვენციისა და რეაგირებისთვის

DRI

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი
DEMOCRACY RESEARCH INSTITUTE

2023

UK Government

UK in Support of Sustainable Peace
Complementary Initiative to COBERM

DRI დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი
Democracy Research Institute

გამოქვეყნდა გაერთიანებული სამეფოს ფონდის „მდგრადი მშვიდ-ობისთვის - COBERM-ის დამატებითი ფინანსური ინსტრუმენტი“ მხარდაჭერით, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებული სამეფოს მთავრობისა (UK) და გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამის (UNDP) ერთობლივ ინიციატივას. გამოცემის შინაარსი წარმოადგენს ორგანიზაცია „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის“ ერთპიროვნულ პასუხისმგებლობას და არცერთ შემთხვევაში უნდა იქნას აღქმული, როგორც UK-ის ან UNDP-ს მოსაზრება.

წინათქმა

წინამდებარე დოკუმენტი, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის პროექტის - „თანამშრომლობა ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის“ ფარგლებში შეიქმნა.

დოკუმენტი განკუთვნილია ბავშვებთან და ბავშვებისთვის მომუშავე პროფესიონალებისთვის, მასწავლებლების, საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ყველა დაინტერესებული პირისთვის. ამასთან, გამოსადეგია მშობლებისა და იმ სპეციალისტებისთვისაც, რომლებიც მშობელთა გაძლიერების მიმართულებით მუშაობენ.

ბულინგისა და კიბერბულინგის პრევენციისა და რეკომენდაციების გაიდლაინების შექმნის მიზანი, არსებული საერთაშორისო კანონმდებლობის, განმარტებების, ბულინგისა და კიბერბულინგის გამომწვევი მიზეზების, პრევენციული მექანიზმებისა და კრიზისული ინტერვენციის ქმედითი პრაქტიკის თავმოყრა გახლდათ. ასევე, იმ რეკომენდაციების გაზიარება, რომლებიც ქვეყანაში, ბავშვებში ბულინგისა და კიბერბულინგის ეფექტიანი პრევენციისა და რეაგირების პოლიტიკის გაუმჯობესებისკენ არის მიმართული.

სახელმძღვანელოს შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო ექსპერტთა გუნდმა: **ურსინა ვეიდკუნი, თამარ საუთიევა, თამარ ჭანტურია, მაია ვერძაძე და მაია ნასრაშვილი.**

პასუხისმგებელი რედაქტორი: **უჩა ნანუაშვილი**

შინაარსი

წინათქმა.....2

1. ბავშვთა მიმართ ძალადობა 5

1.1. ბავშვთა მიმართ ძალადობის რისკ-ფაქტორები 7

1.2. ძალადობის ამოცნობა.....9

2. ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენცია 11

2.1. ბავშვზე ძალადობის პრევენციის სამი დონე 13

3. რას ნიშნავს ბულინგი - განმარტება და ფორმები, გამომწვევი მიზეზები და შედეგები 18

3.1. ბულინგის გამოვლინებები.....20

3.2. ბულინგის მონაწილე პირები.....21

3.2.1. ბულინგის მსხვერპლი 22

3.2.2. ვინ ახორციელებს ბულინგს?.....24

3.2.3. ბულინგის შემსწრეები 25

3.3. ბულინგის გამომწვევი რისკ-ფაქტორები 25

3.4. ბულინგის შედეგი.....27

3.4.1. თუ თქვენი შვილი განიცდის ბულინგს 28

3.4.2. თუ თქვენი შვილი სხვა ბავშვებს ჩაგრავს 30

3.5. სირთულეები მასწავლებლების მიერ ბულინგის შემთხვევების იდენტიფიცირებაში.....31

3.6. სასკოლო სივრცეში ბულინგის პრევენცია.....33

3.7. ანტიბულინგური პროგრამები 35

3.8. რას ვაკეთებთ კრიზისული ინტერვენციის დროს? 36

4. რა არის კიბერბულინგი? 38

4.1. როგორ ამოვიცნოთ კიბერბულინგი? 41

4.2. როგორ დავიცვათ შვილები კიბერბულინგისგან?.....41

4.3. ბულინგის სამი ძირითადი განსხვავება ინტერნეტში და რეალურ ცხოვრებაში 43

4.4. კიბერბულინგის მოსალოდნელი შედეგები.....44

4.5. STOP, BLOCK, TALK სტრატეგია კიბერბულინგთან გასამკლავებლად 45

4.6. რეკომენდაციები მშობლებისთვის 45

5. საერთაშორისო კანონმდებლობა ბულინგისა და ინტერნეტ ბულინგის წინააღმდეგ.....46

6. ბავშვთა ძალადობისგან დაცვის ადგილობრივი საკანონმდებლო ჩარჩო.....51

7. შეჯამება და რეკომენდაციები 55

1. ბავშვთა მიმართ ძალადობა

მსოფლიო სტატისტიკის მიხედვით, 2022 წელს, 2-დან 17 წლამდე ასაკის, 1 მილიარდამდე ბავშვმა განიცადა ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ძალადობა და/ან უგულებელყოფა. კვლევები ცხადყოფს რომ ბავშვობაში მიღებული ძალადობის გამოცდილება, უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვის ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე[1] და შესაძლოა იქცეს როგორც პირდაპირი, ისე გრძელვადიანი ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ზიანის მიზეზი[2], გამოიწვიოს ძლიერი სტრესი, შფოთვა, სირთულეები აკადემიურ სფეროში, თვითშეფასებასთან მიმართებით და ა.შ.

ძალადობა არის ნებისმიერი ქმედება, რომელიც აკნინებს ან დაზიანებით ემუქრება ბავშვის ფსიქიკურ და ფიზიკურ კეთილდღეობას, საფრთხეს უქმნის მის ჯანმრთელობას და განვითარებას[3]. ბავშვის მიმართ ძალადობა მოიცავს, ძალადობის ნებისმიერ ფორმას 18 წლამდე ასაკის ადამიანებზე, მიუხედავად იმისა, თუ ვის მიერ არის ჩადენილი - მშობლების, სხვა აღმზრდელების, თანატოლების, რომანტიული პარტნიორების თუ ნებისმიერი, უცხო პირის მიერ.[4]

ბავშვთა მიმართ ძალადობის ფორმებია

ფიზიკური ძალადობა
ემოციური (ფსიქოლოგიური) ძალადობა
სექსუალური ძალადობა
უგულებელყოფა

---

[1] https://rb.gy/yzruwr;

[2] ბავშვების მიმართ გასული წლის ძალადობის გლობალური გავრცელება: სისტემური მიმოხილვა და მინიმალური შეფასება, ს.ჰილისი, ჯ, მერსი, ა. ამობი, ჰ,. კრესი;

[3] http://phf.org.ge/ka/resources/dzaladoba-bavshvze/

[4] გლობალური სტატუსის ანგარიში ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის შესახებ 2020, ჯანმო;

ფიზიკური ძალადობა - ნებისმიერი ფიზიკური ზემოქმედება, რომელიც ტკივილს აყენებს ბავშვს და/ან იწვევს სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებას: დარტყმა, ხელის კვრა, სილის გაწვნა, წამოთაქება ან სხვა ფიზიკური ზემოქმედება, თუნდაც „აღმზრდელობითი“ მიზნით;

სექსუალური ძალადობა - ბავშვის გამოყენება სექსუალური მიზნებისთვის: ეროტიკული ალერსი, თვალთვალი, ბავშვისთვის პორნოგრაფიული სურათების გადაღება, სექსუალური შინაარსის ფილმების ყურების ან პორნოგრაფიული ჟურნალების დათვალიერების ნებართვა ან ხელშეწყობა, გაუპატიურება ან გაუპატიურების მცდელობა, სასქესო ორგანოების დემონსტრირება, ღია საუბრები სექსზე ბავშვის შოკირების ან მისი ცნობისმოყვარეობის გაღვიძების მიზნით, სისხლის აღრევა (ინცესტი), სხეულით ვაჭრობის იძულება და სხვა.

უგულებელყოფა - ბავშვის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და განვითარებისთვის აუცილებელი საჭიროებების (საკვები, საცხოვრებელი, ტანსაცმელი, მოვლა, მეთვალყურეობა, ყურადღება, განათლება, სამედიცინო დახმარება და სხვა) რეგულარული დაუკმაყოფილებლობა მშობლის თუ მეურვის მხრიდან, ობიექტური მიზეზების გამო (სიღარიბე, ფსიქიკური დაავადებები, გამოუცდელობა) ან ამგვარი მიზეზების გარეშე.

ფსიქოლოგიური (ემოციური) ძალადობა - არის ერთჯერადი ან მრავალჯერადი ზემოქმედება ბავშვზე, მის მიმართ მტრული ან გულგრილი დამოკიდებულება, რომლის მიზანს წარმოადგენს ბავშვის დამორჩილება, იწვევს მასში თვითშეფასების დაქვეითებას, ღირსების შელახვას, თავდაჯერებულობის დაკარგვას, უქმნის სირთულეებს სოციალური ურთიერთობების მხრივ. ემოციური ძალადობა შეიძლება ვლინდებოდეს ცალკე ან შეიძლება წარმოადგენდეს ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის შემადგენელ ნაწილს;

1.1. ბავშვთა მიმართ ძალადობის რისკ-ფაქტორები[5]

ბავშვთა მიმართ ძალადობის მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორ-ებია:

ინდივიდუალური დონე:

- ბიოლოგიური ასპექტები, როგორიცაა სქესი და ასაკი;
- განათლების დაბალი დონე;
- დაბალი შემოსავალი;
- სექსუალური უმცირესობა;
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკების გამოყენების მავნებლობა;[6]
- ძალადობის გამოცდილება.

ურთიერთობის დონე:

- ემოციური კავშირის ნაკლებობა ბავშვებსა და მშობლებსა თუ აღმზრდელს შორის;
- პოზიტიური მშობლობის უნარ-ჩვევების დეფიციტი; ოჯახის დისფუნქცია და განცალკევება;
- რთული ქცევის მქონე თანატოლებთან ურთიერთობები;
- ოჯახში ძალადობის შემსწრე;
- ადრეული ან იძულებითი ქორწინება.

თემის დონე:

- სიღარიბე;
- მჭიდროდ დასახლებული თემი;
- მარტივი წვდომა ალკოჰოლსა და ცეცხლსასროლ იარაღზე;
- ბანდები, ნარკოტიკების უკანონო ვაჭრობა.

---

[5] Violence against children, WHO, 2022;

[6] Association of bullying behaviour with smoking, alcohol use and drug use among school students in Erbil City, Iraq, Beena Shawki,Tariq Al-Hadithi2and Nazar Shabila;

საზოგადოების დონე:

- სოციალური და გენდერული ნორმების შედეგად შექმნილი კლიმატი, რომელშიც ძალადობა ნორმალიზებულია;
- ჯანდაცვის, ეკონომიკური, საგანმანათლებლო და სოციალური პოლიტიკა, რომელშიც ეკონომიკური, გენდერული და სოციალურ უთანასწორობაა;
- სოციალური დაცვის სისტემის არ არსებობა ან არასათანადო გამართულობა;
- პოსტკონფლიქტური სიტუაციები ან სტიქიური უბედურებები;
- სუსტი მმართველობა და არაპროფესიონალი სამართალდამცავები.

ბავშვთა მიმართ ძალადობას, მთელი ცხოვრების განმავლობაში, უდიდესი გავლენა აქვს ბავშვების, ოჯახების, თემებისა და ერების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე.

ბავშვზე ძალადობას შესაძლოა მოჰყვეს მნიშვნელოვანი მყისიერი შედეგებიც:

- მკვლელობა, რომელიც ხშირად იარაღის გამოყენებით ხდება, (დანები და ცეცხლსასროლი იარაღები), მოზარდების სიკვდილიანობის პირველ ოთხ მიზეზს შორისაა, სადაც ბიჭები შეადგენენ მსხვერპლთა და დამნაშავეთა 80%-ზე მეტს.
- გამოიწვიოს მძიმე დაზიანებები, რომელიც ძირითადად, ბიჭებს შორის ჩხუბის დროს ვლინდება.
- აფერხებს ტვინის და ნერვული სისტემის განვითარებას. ადრეულ ასაკში ძალადობამ შეიძლება შეაფერხოს ტვინის განვითარება და დააზიანოს ნერვული სისტემის სხვა ნაწილები, აგრეთვე ენდოკრინოლოგიური, სისხლის მიმოქ--ცევის, საყრდენ-მამოძრავებელი, რეპროდუქციული, რესპირატორული და იმუნური სისტემები, რაც როგორც წესი, მთელი სიცოცხლის განმავლობაში გაგრძელდება; ბავშვთა მიმართ ძალადობამ შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს კოგნიტურ უნარებზე და გამოიწვიოს საგანმანათლებლო და პროფესიული განვითარების სიმცირე.

- ალკოჰოლის და ნარკოტიკების გამოყენება ან/და მაღალი რისკის სექსუალურ ქცევა. ძალადობაგამოვლილ ბავშვებს, ასევე აქვთ შფოთვის, დეპრესიის, სხვა ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულეები და თვითმკვლელობის/თვითდაზიანების მაღალი რისკი და მაჩვენებელი.
- გამოიწვიოს არასასურველი ორსულობა, აბორტები, გინეკოლოგიური პრობლემები და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები, მათ შორის აივი.
- ძალადობაგამოვლილი ბავშვები უფრო ხშირად რჩებიან განათლების გარეშე, უჭირთ სამსახურის პოვნა, მისი შენარჩუნება და ემუქრებათ შემდგომი ვიქტიმიზაცია.

ყველაზე ხშირად, ბავშვები, რომლებზეც განხორციელდა ძალადობა, არავის უზიარებენ თავიანთ მძიმე გამოცდილებას.[7]

1.2. ძალადობის ამოცნობა

დაკვირვებულმა ზრდასრულმა (მასწავლებელმა, სოციალურმა მუშაკმა, ნებისმიერმა პირმა, რომელიც ბავშვთან მუშაობს ან მასზე ზრუნვა ევალება) უნდა შეძლოს ბავშვზე ძალადობის ნიშნების ამოცნობა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ამისათვის, ხშირად მნიშვნელოვანია არა რომელიმე ნიშანი, არამედ მათი კომბინაცია და ამ ნიშნების უგულებელყოფა ზრდასრულის მხრიდან დაუშვებელია.[8]

რამ უნდა მიიპყროს მასწავლებლისა და მშობლების ყურადღება:

- ბავშვი ცუდად ვითარდება, მისი გონებრივი და ფიზიკური განვითარება არ შეესაბამება ასაკს, ბავშვი მოუწესრიგებელია;
- არის აპათიური, ხშირად ტირის ან პირიქით, აგრესიულია, გამომწვევად იქცევა;

[7] სახელმძღვანელო - ძალადობის პრევენციის დივიდენდები - რატომ არის ბავშვთა მიმართ ძალადობის პრენვეცია ეკონომიკურად მნიშვნელოვანი;
[8] ჩამონათვალი საილუსტრაციოა და არ არის ამომწურავი;

- ბავშვის ქცევა ცვალებადია - სიმშვიდიდან აღგზნებისკენ და პირიქით;
- ბავშვს აღენიშნება კონცენტრაციის სირთულეები და ყურადღების დეფიციტი, დაღლილობა, ძილის რეჟიმის დარღვევა;
- ბავშვი ავლენს უარყოფით დამოკიდებულებას საკუთარი სხეულის მიმართ;
- საკუთარ სხეულს ზიანს აყენებს;
- ბავშვი უარს ამბობს გრძელმკლავიანი ტანსაცმლის გახდაზე, რადგან ცდილობს სისხლჩაქცევების დამალვას;
- ბავშვი ხშირად სუსტადაა და აქვს თავის ან მუცლის ტკივილი, შარდ-სასქესო ორგანოების გარეგანი ანთება;
- ბავშვს აშკარად ეშინია მამის (სხვა ნაცნობი მამაკაცების) ან დედის (სხვა ნაცნობი ქალების);
- ბავშვი ავლენს შიშს ან ზიზღს ზოგიერთ ზრდასრულ ადამიანთან ფიზიკური სიახლოვისას;
- ბავშვი, აწეულ ხელზე, თავდაცვითი მოძრაობით რეაგირებს (თითქოს იკუმშება, დარტყმის ეშინია);
- ბავშვი ზედმეტად ცდილობს ნებისმიერი ზრდასრულის მოწონება, შექება, სიყვარული დაიმსახუროს;
- ეშინია კონფლიქტების და კამათის სხვა ბავშვებთან; აღმატებით გამოხატავს ზრუნვას ყველაფრისა და ყველას მიმართ;
- ბავშვი ავლენს მისი ასაკისთვის შეუფერებელ „ზრდასრულის“ ქცევას, დაინტერესებულია სქესობრივი საკითხებით;
- ბავშვი საუბრობს ძალადობის ან სექსუალური შევიწროების შემთხვევებზე, რომლებიც სავარაუდოდ სხვა ბავშვებს გადახდათ;

მშობლების ან ბავშვზე პასუხისმგებელი პირების ქცევის თავისებურებები, რაც ბავშვის მიმართ ძალადობაზე აღძრავს ეჭვს:

- ბავშვის დაზიანებების მიზეზების ურთიერთგამომრიცხავი, დამაბნეველი ახსნა და ინდიფერენტულობა მომხდარის გარკვევის სურვილის მიმართ;
- სამედიცინო დახმარების დაგვიანებით თხოვნა ან დახმარების თხოვნის ინიციატივის არქონა;

- ბავშვის დადანაშაულება ტრავმაში;
- მშობლების არაადეკვატური რეაქცია და ბავშვის დაზიანების უგულებელყოფა;
- ინდიფერენტული დამოკიდებულება ბავშვის საჭიროებების მიმართ;
- ბავშვთან ურთიერთობისას უყურადღებობა, სიყვარულისა და ემოციური მხარდაჭერის ნაკლებობა;
- ისტორიები იმის შესახებ, თუ როგორ ისჯებოდნენ ბავშვობაში თავად;
- ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულეების ნიშნები ქცევაში ან პათოლოგიური ხასიათის თვისებების გამოვლინება (აგრესიულობა, აღგზნებადობა, არაადეკვატურობა და ა.შ.).

2. ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენცია

1989 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ბავშვის უფლებათა კონვენცია. ხელმომწერი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან გადახედონ პოლიტიკას, კანონებსა და კულტურულ ნორმებს, რათა უზრუნველყონ ბავშვის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების დაცვა. გაერო, ბავშვებზე ძალადობას განმარტავს, როგორც ბავშვის უფლებების დარღვევას, მათ შორის, მაშინაც როდესაც სახელმწიფოში ეს აღიქმება როგორც „ტრადიცია“ ან შენიღბულია, როგორც „დისციპლინა“. გარდა იმისა, რომ ძალადობა არღვევს ბავშვის უფლებებს, მა--გალითად, ფიზიკური დასჯა არაეფექტურია სასურველი ქცევის გამომუშავებისთვის. თვისებრივმა კვლევამ აჩვენა, რომ მასწავლებლები და მშობლები თვლიან - ფიზიკური დასჯა სკოლებში, აუმჯობესებს აკადემიურ მოსწრებას და ხელს უწყობს ქცევის კორექციას. თუმცა, ბავშვებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, ბევრი მათგანი არ მიიჩნევს, რომ ასეთი მიდგომა მათ ეხმარება სწავლასა თუ დისციპლინის გამო-

მუშავებაში. ძალადობა აშინებთ, აბნევთ ან თრგუნავთ. ძალადობის ნორმალიზება კი თავის მხრივ ხელს, უწყობს ბავშვებში ქცევით სირთულეებსა და აგრესიას[9].

ძალადობის პრევენციაზე საუბრისას ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საყოველთაო პრევენციული ინტერვენციები ეფექტურია. უნივერსალური პრევენციული ინტერვენციები და მასთან დაკავშირებული პოლიტიკა მუშაობს ყველასთვის, რისკ-ფაქტორების არსებობის/არარსებობის მიუხედავად.

ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და რეაგირებისთვის მნიშვნელოვანი რესურსია INSPIRE სტრატეგია[10]. INSPIRE არის მტკიცებულებებზე დაფუძნებული რესურსი ყველასთვის, ვინც მზად არის აღკვეთოს და რეაგირება მოახდინოს ბავშვთა მიმართ ძალადობაზე - შვიდი სტრატეგია, რომელიც დაეხმარება ქვეყნებსა და თემებს მთელი ყურადღება მიმართონ იმ პრევენციულ პროგრამებსა და სერვისებზე, რომელთაც შეუძლიათ ბავშვთა მიმართ ძალადობის შემცირება.

შვიდი სტრატეგიაა: კანონის იმპლემენტაცია და აღსრულება, ნორმები და ღირებულებები, უსაფრთხო გარემო, მშობლებისა და აღმზრდელების მხარდაჭერა, შემოსავალი და ეკონომიკური გაძლიერება, რეაგირებისა და მხარდაჭერის სერვისები და განათლება, ცხოვრებისეული უნარები[11].

---

[9] ბერნეტი, 1998; Clacherty, Donald and Clacherty, 2004; ბიზლი და სხვები, 2006: 183; როხასი, 2011, 11;
[10] INSPIRE: შვიდი სტრატეგია ბავშვების მიმართ ძალადობის დასასრულებლად, https://rb.gy/qnjhci;
[11] https://www.who.int/activities/preventing-violence-against-children;

2.1. ბავშვზე ძალადობის პრევენციის სამი დონე

ბავშვზე ძალადობის პრევენციული ღონისძიებები 3 სხვადასხვა დონეზე ხორციელდება: საყოველთაო, მიზნობრივი და ინდივიდუალური.[12]

პირველი დონე - საყოველთაო პრევენცია გათვლილია საზოგადოების ფართო სპექტრზე;

მეორე დონე - მიზნობრივი პრევენცია მიმართულია საზოგადოების იმ ჯგუფისკენ, რომელშიც არსებობს ბავშვზე ძალადობის ერთი ან რამდენიმე რისკ-ფაქტორი;

მესამე დონე - ინდივიდუალური პრევენცია მიმართულია იმ ოჯახებისკენ ან სხვა ადგილებისკენ, სადაც ბავშვზე ძალადობა ხდება. მისი მიზანია ძალადობის განმეორებისგან ბავშვების დაცვა.

I დონე – საყოველთაო პრევენცია

საყოველთაო პრევენციის დოქტრინის თანახმად, მთელი საზოგადოება ვალდებულია, დაიცვას ბავშვი ძალადობისგან. შესაბამისად, მისი სტრატეგია ფოკუსირებულია მთლიანად საზოგადოებაზე. საყოველთაო პრევენციულ ღონისძიებათა გრძელვადიანი მიზანია საზოგადოების განათლება, სოციალური ცვლილებების მიღწევა, ძალადობის მიმართ ტოლერანტობის აღკვეთა და სხვა.[13]

---

[12] ბავშვზე ძალადობის პრევენციის ჩარჩო ჯანსაღი ოჯახებისა და თემების ხელშეწყობის გზით, ბავშვთა ძალადობის პრევენციის ოფისი, 2022;
[13] ევროკავშირის სამოქმედო გეგმა ბავშვთა უფლებებისთვის;

საყოველთაო პრევენციის ძირითადი მიზნებია:

- მშობელთა/მზრუნველთა ცოდნის გაფართოება, რათა მათ იცოდნენ, როგორ მიმდინარეობს ბავშვის განვითარების პროცესი, განვითარების ამა თუ იმ საფეხურს როგორი ქცევა თუ მდგომარეობა შეესაბამება;
- მშობელსა და ბავშვს შორის ურთიერთობის და კომუნიკაციის გაძლიერება;
- მშობლებისთვის, რომელთა ბავშვები განსაკუთრებულ მოვლას საჭიროებენ, სტრესთან გამკლავების სწავლება;
- მშობლების ცოდნის ამაღლება ოჯახის მართვა-გაძღოლის საკითხებში;
- სოციალური და სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობა საზოგადოების ყველა წევრისათვის.

ამ მიზანთა მისაღწევად სხვადასხვა სტრატეგიები გამოიყენება, როგორიცაა, მაგალითად, მომავალი მშობლების მხარდაჭერა, რათა ისინი ადვილად გაუმკლავდნენ ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებულ სამომავლო სირთულეებს; პროგრამები მშობლებისთვის - ბავშვზე ზრუნვის და მისი განვითარების თავისებურებათა შესახებ; ასევე - პროგრამები, რომელთა მეშვეობით ბავშვები აითვისებენ კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების, ძალადობისგან თავის დაცვის, საზოგადოებაში ურთიერთობის უნარებს და სხვა. კრიზისულ სიტუაციებში მეტად მნიშვნელოვანია თვითდახმარების ჯგუფების და 24-საათიანი კრიზისული დაცვის პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფენ მშობლების სწრაფ დახმარებას. ამისთვის აუცილებელია, ქვეყანაში არსებობდეს სატელეფონო ცხელი ხაზი, კრიზისული ცენტრები, კრიზისულ სიტუაციებში დამხმარე საკონსულტაციო სამსახურები.[14]

---

[14] რატომ აქვს ეკონომიკური მნიშვნელობა ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციას, ანგარიში;

II დონე – მიზნობრივი პრევენცია

- პრევენციის ეს დონე მოიცავს საზოგადოების იმ ჯგუფისკენ მიმართულ ღონისძიებებს, სადაც ბავშვზე ძალადობის ერთი ან რამდენიმე რისკ-ფაქტორი არსებობს - ოჯახები სტრესულ სიტუაციებში, ახალგაზრდა მშობლები; ნარკო- და ალკოჰოლდამოკიდებული მშობლები, ასევე ბავშვთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები.

მიზნობრივი პრევენციის ძირითადი მიზნებია:

მშობელთა ცოდნის გაზრდა, რათა მათ გააცნობიერონ, როგორ გავლენას ახდენს მათი ბავშვობისდროინდელი გამოცდილება მათ ქცევაზე, უკვე მშობლის როლში;

- მშობელსა და ბავშვს შორის ურთიერთობის მოწესრიგება;
- საჭიროების შემთხვევაში, მშობლების დაკავშირება თემში არსებულ იმ სამსახურებთან, რომელიც მიმართულია ოჯახის, მშობლის და ბავშვის სპეციფიკური პრობლემების მოგვარებაზე;
- შეზღუდული შესაძლებლობების ბავშვის მშობელთა დახმარება სტრესთან გასამკლავებლად;
- სოციალური და სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობა საზოგადოების ყველა წევრისათვის.

ამ მიზნების მისაღწევად გამოყენებული სტრატეგიები მოიცავს: ბავშვის აღზრდის სწავლების პროგრამებს, რომლებიც ხელმისაწვდომია რისკის ქვეშ მყოფი ოჯახებისათვის; პროგრამებს, რომლებიც ასწავლიან მშობლებს თემის რესურსების გამოყენებას; პროგრამებს, რომლებიც ახალგაზრდა მშობლებს მიაწვდიან ინფორმაციას ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა ბავშვის განვითარება და მოვლა, და სხვა. აუცილებელია, არსებობდეს სამსახურები, სადაც დახმარებას გაუწევენ ფსიქიკური ჯანმრთელობის, დეპრესიის, ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის პრობლემის მქონე მშობლებს და სხვა[15].

---

[15] ბავშვთა მიმართ არასათანადო მოპყრობის პრევენცია ევროპაში: საზოგადოებრივი ჯანდაცვის მიდგომა, ბავშვთა მიმართ არასათანადო მოპყრობის პრევენციის ევროპული სამოქმედო გეგმა, 2015-2020;

III დონე – ინდივიდუალური პრევენცია

ინდივიდუალური პრევენცია მოიცავს იმ ოჯახებთან მუშაობას, რომლებშიც დადგინდა ბავშვზე ძალადობა და უგულებელყოფა. ის მიმართულია ძალადობის განმეორების თავიდან აცილებაზე.

ინდივიდუალური პრევენციის ძირითადი მიზნებია:

- ბავშვზე ძალადობისა და უგულებელყოფის განმეორების შემცირება, ბავშვისთვის საცხოვრებელი გარემოს შეცვლით ან მოძალადისთვის თავისუფლების აღკვეთით;
- მშობელთა ნარკო- და ალკოჰოლდამოკიდებულების შემცირება;
- ბავშვის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ძალადობით მიღებული ზიანის შემცირება;
- ოჯახის დაკავშირება ოჯახის დამცავ ჯგუფებთან და სხვა დამცავ სისტემებთან;
- მშობლების კავშირის გაძლიერება თემში არსებულ დამხმარე სამსახურებთან.

ამ მიზანთა მისაღწევად, პრევენციის III დონეზე გამოყენებული ღონისძიებები შეიძლება იყოს: მოძალადის განრიდება, საჭირო შემთხვევაში ბავშვისთვის საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, მოძალადე მშობლების რეაბილიტაცია მათი მკურნალობის უზრუნველყოფით, ძალადობაგანცდილი ბავშვის მკურნალობა, მიმღები ოჯახების შექმნა და მომზადება, და სხვა.[16]

ქვემოთ ჩამოთვლილია სტრატეგიები და მიდგომები, რომლები ითვლება ეფექტიანად ოჯახებთან მუშაობის და მათი მხარდაჭერის კუთხით:

---

[16] D.DARO, E. JARPE-RATNER, ბავშვთა მიმართ არასათანადო მოპყრობის პრევენცია: სამოქმედ გეგმს ჩარჩო, 2020;

სტრატეგია	მიდგომა
ოჯახების ეკონომიკური მხარდაჭერის გაძლიერება;	• ოჯახის ფინანსური უსაფრთხოების გაძლიერება; • ოჯახის გაძლიერებაზე ორიენტირებული პოლიტიკა;
სოციალური ნორმების ფორმირება მშობლებისა და პოზიტიური აღზრდის მხარდასაჭერად;	• საზოგადოების ჩართულობა და საგანმანათლებლო კამპანიები; • საკანონმდებლო მექანიზმები ფიზიკური დასჯის შესამცირებლად;
ადრეული განვითარების მხარდაჭერა;	• სკოლამდელი ასაკის ბავშვების ოჯახებთან მუშაობა;
მშობლების მხარდაჭერა მშობლობის უნარ-ჩვევების ამაღლება და ბავშვის ჯანსაღი განვითარების საკითხის პოპულარიზაცია;	• სკოლამდელ განათლებაში ოჯახის ჩართულობა; • ბავშვზე ზრუნვის ხარისხის გაუმჯობესება ლიცენზირებისა და აკრედიტაციის გზით; • მცირეწლოვანი ბავშვების სახლში მონახულება;
ჩარევა ზიანის შესამცირებლად და მომავალი რისკების თავიდან ასაცილებლად;	• გაძლიერებული პირველადი ჯანდაცვა; • სასწავლო პროგრამებში მშობლების ჩართვა; • მკურნალობა არსებული ზიანის შესამცირებლად;' • მხარდაჭერა პრობლემური ქცევისა და შემდგომში ძალადობაში ჩართვის თავიდან ასაცილებლად.[17]

[17] https://www.cdc.gov/violenceprevention/childabuseandneglect/prevention.html;

3. რას ნიშნავს ბულინგი – განმარტება და ფორმები, გამომწვევი მიზეზები და შედეგები

მსოფლიოში 13-დან 15 წლამდე 130 მილიონამდე (3-დან 1-ზე ოდნავ მეტი) მოსწავლე განიცდის ბულინგს.[18] ბულინგი თანატოლის ან თანატოლთა ჯგუფის მიერ ჩადენილი აგრესიული ქცევაა, რომელიც მეორდება და მიზნად ისახავს სხვებისათვის ფიზიკური ან/და ემოციური ზიანის მიყენებას.

პირველად, ამ პრობლემით, დაინტერესდნენ სკანდინავიელი მეცნიერები (Heinemann,1973; Olweus, 1984; Pikas, 1975, 1989; Roland, 1983, 1989). თუმცა სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგები, მაინც ნაკლებ ყურადღებას უთმობდნენ ბავშვთა მიერ ერთმანეთის მიმართ აგრესიის გამოვლენის შემთხვევებს. პრიორიტეტულ გამოწვევად სკოლის გაცდენა რჩებოდა. საკითხის აქტუალურობა გაიზარდა ტატუმის, ლეინის, როლანდის და მუნტეს (Rolland&Munte, 1989; Tattum&Lane, 1988) მიერ გამოცემული შრომების შედეგად და სასკოლო ბულინგი (მობინგი) მნიშვნელოვან საკითხად იქცა.

დღესდღეობით ყველაზე გავრცელებულია როლანდის (Roland, 1988) განმარტება - **ბულინგი ეს არის ხანგრძლივი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა, ერთი ინდივიდის ან ჯგუფის მხრიდან, მეორე ინდივიდზე ან ჯგუფზე, რომელსაც არ შეუძლია საკუთარი თავის დაცვა კონკრეტულ სიტუაციაში.**[19]

„ბულინგი ქცევითი პრობლემაა, რომელიც გავლენას ახდენს ათასობით სკოლის მოწაფეებისა და მათი ოჯახის წევრების ცხოვრებაზე. ბულინგის მსხვერპლი ბავშვები განიცდიან დამცირებას, შიშს, ფრუსტრაციას, სოციალურ იზოლაციასა და თვითშეფასების დაკარგვას, რაც შემდგომში განაპირობებს სკო-ლის ხშირ გაცდენას, სამუშაო დავალებების ცუდად შეს-

[18] „ნაცნობი სახე, ძალადობა ბავშვებისა და მოზარდების ცხოვრებაში“, UNICEF;
[19] სკოლის გავლენა ბულინგიზე, ერლინგ როლანდი, 1998;

რულებას, პიროვნულ ცვლილებებს, ავადმყოფობას, დეპრესიასა და ზოგჯერ, თვითმკვლელობასაც კი. ბულინგისთვის არ არსებობს ასაკობრივი, სქესობრივი, ან სოციო-ეკონომიკური შეზღუდვები. იგი შეიძლება მრავალი ფორმით გამოვლინდეს და მიმდინარეობდეს ხანმოკლე, ან ხანგრძლივი პერიოდებით". (AntiBullying Centre, „Bullying at School; Key Facts", Dublin: 2001)

გაეროს გენერალური ასამბლეის ბავშვთა ბულინგისგან დაცვის ანგარიშის მიხედვით[20], ბულინგი განმეორებითი გან-ზრახი და აგრესიული ქცევაა მსხვერპლის მიმართ, როდესაც რეალური ან აღქმული ძალაუფლების დისბალანსია და მსხვერ-პლი დაუცველობას გრძნობს და არ შესწევს ძალა საკუთარი თავის დასაცავად. არასასურველი ქცევა საზიანოა: ეს შეიძ-ლება იყოს **ფიზიკური** - მაგალითად, დარტყმა, ან, თუნდაც მსხვერპლის ნივთის განზრახ განადგურება. **სიტყვიერი** - როგორიცაა დაცინვა, შეურაცხყოფა და მუქარა, ან **ურთიერთობის გაფუჭება** - ჭორების გავრცელება, ჯგუფიდან გარიყვა.

აღნიშნული პრობლემის აქტუალურობიდან გამომდინარე, 2017 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბავშვის უფლებების ცენტრმა 2016–2017 სასწავლო წლის განმავლობაში, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, ბავშვთა მიმართ ძალადობის კუთხით ჩატარებული მონიტორინგის შედეგები წარმოადგინა.

ინტერვიუების შედეგად გაირკვა, 64 ფოკუს-ჯგუფში, მოსწავლეები საუბრობდნენ ბულინგის სხვადასხვა ფორმებზე, როგორც თანატოლების, ისე უფროსკლასელების მხრიდან.

თანატოლებს შორის, დაცინვა, მეტსახელით მოხსენიება, პრობლემად იშვიათად აღიქმება. მოსწავლეთა საუბრიდან ცხადი ხდება, რომ მეტსახელის შერქმევა ნორმალიზებულია. ვერბალური ბულინგი ხშირია გარეგნობისა და ფიზიკური მონაცემების, სოციალური მდგომარეობის, ასევე, აკადემიური მოსწრების გამო. გარდა ამისა, მოსწავლეებმა ფოკუს-ჯგუფების მიმდინარეობისას ფიზიკური ბულინგის არაერთი შემთხვევაც დაასახ-

[20] გაეროს გენერალური ასამბლეის ბულინგისგან დაცვის ანგარგიში, 30 ივლისი, 2018;

ელეს: ჩხუბი, ფეხის დადება, თმის მოქაჩვა, ხელის გადატრიალება, დაჯახება და ა.შ. ამ ყველაფრის გამო მოსწავლეებს მიუმართავთ მასწავლებლისათვის, თუმცა ბავშვები ხშირად იმასაც ამბობენ, რომ მიმართვას „აზრი არ აქვს“. ფოკუს-ჯგუფებში მუშაობისას გამოვლინდა, რომ კიბერბულინგის შემთხვევები საერთოდ არ აღიქმება ძალადობად. ამგვარი ძალადობის იდენტიფიცირების დონე ძალზე დაბალია, როგორც უფროსებში, ისე მოსწავლეებში. არსებობს მოსწავლეთა გარკვეული კატეგორია, რომელიც აღიარებს, რომ თავადაც სჩადიოდა სხვადასხვა სახის ძალადობრივ ქმედებებს თანაკლასელების და/ან თანასკოლელების მიმართ. ძალადობის ფაქტები, მოსწავლეების თქმით, ძირითადად ხდებოდა საკლასო ოთახში (შემთხვევათა 60.8%) ან სკოლის გარეთ (შემთხვევათა 43.4%). ამასთანავე, მაღალია ძალადობის ფაქტების ხვედრითი წილი სკოლის ეზოში (შემთხვევათა 31.5%) და სკოლის დერეფანში, სადაც არ დგას კამერები (შემთხვევათა 27.1%). თუმცა, ძალადობის 10 შემთხვევა იყო სკოლის დერეფნის იმ ნაწილშიც კი, სადაც კამერებია დამონტაჟებული. მოსწავლეები მიუთითებენ, რომ ძალადობის შემთხვევები ხდება როგორც დილით, გაკვეთილების დაწყებამდე, ასევე შესვენებისას და გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, თუმცა უფრო ხშირად - გაკვეთილების დასრულების შემდეგ (ზოგჯერ - 43%; ხშირად - 17.4%).

3.1. ბულინგის გამოვლინებები

არსებობს პირდაპირი და არაპირდაპირი ბულინგი. პირდაპირი ბულინგია, როდესაც უშუალო ზიანის მიყენება ხდება - ცემა, ნივთების ან ფულის წართმევა და სხვა. ირიბი ბულინგი არის მორალური და ემოციური ძალადობის ფორმა, რომელიც პირდაპირ არ არის მიმართული ობიექტისადმი. ეს უკანასკნელი, ბულინგის რთულად ამოსაცნობი სახეა. მჩაგვრელი ზურგს უკან მოქმედებს, რათა საფრთხე შეუქმნას მსხვერპლის რეპუტაციას და დაამციროს საზოგადოების წინაშე. მისი ფორმებია: ტყუილი, ჭორის გავრცელება, სხვა მოსწავლეებთან დამცირება, მოსწავლის სოციალურ იზოლაციაში მოქცევა („თუ

მასთან მეგობრობ, ჩვენთან ვერ იმეგობრებ“), უგულებელყოფა და სხვა.

პირდაპირი ბულინგი ძირითადად დაწყებით კლასებში ხდება, ხოლო არაპირდაპირი ბულინგი, პიკს მოზარდობის ასაკში აღწევს. ბიჭები გოგოებზე უფრო ხშირად ხდებიან ფიზიკური ბულინგის მსხვერპლნი, ასევე უფრო ხშირად ემუქრებიან და აიძულებენ რაღაცის გაკეთებას, ხოლო გოგოები მეტად ხდებიან ჭორების, უცენზურო ენისა და ჟესტების მსხვერპლი.

3.2. ბულინგის მონაწილე პირები

ბულინგის სიტუაციაში მონაწილეთა სამი ძირითადი როლია - ეს არის მსხვერპლი, მჩაგვრელი და მოწმე. როლები შეიძლება შეიცვალოს სხვადასხვა სიტუაციასა და ჯგუფში.

უშუალო მსხვერპლი - ადამიანი, რომლის მიმართაც მიმართულია აგრესია;

ბულინგის შემსწრეები

- **დამცველი** - ადამიანი, რომელიც მსხვერპლის მხარეზეა და ცდილობს აგრესიისგან მის დაცვას;
- **მომხრე** - ადამიანი, რომელიც აგრესორის მხარეზეა, უშუალოდ არ მონაწილეობს ბულინგში, მაგრამ არც წინააღმდეგობას უწევს;
- **ბულინგის შემსწრე** (დამკვირვებელი) -ადამიანი, რომელმაც იცის აგრესიული ზემოქმედების დეტალების, დამცირებების შესახებ, მაგრამ ნეიტრალიტეტს იცავს.

ბულინგის გამტარებელი - ადამიანი, რომელიც ჩაგრავს მსხვერპლს.

3.2.1. ბულინგის მსხვერპლი

2012 წელს, გერმანიაში გამოიცა ერთ-ერთი სკოლის, ყოფილი მოსწავლის დღიური. ტექსტმა შოკში ჩააგდო ავტორის მშობლები, მასწავლებლები და სკოლა. აღმოჩნდა, რომ სკოლაში ის წლების განმავლობაში განიცდიდა ორგანიზებულ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ძალადობას, მაგრამ არც ოჯახში, არც სკოლაში ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა.

„დღიურის გამოქვეყნება ერთადერთი მიზეზით გადავწყვიტე: ახლაც, სკოლის დამთავრებიდან თორმეტი წლის შემდეგ, ჯერ კიდევ ვერ დავაღწიე თავი იმ შიშსა და შფოთვას, რომელსაც სკოლაში, სწავლის დროს განვიცდიდი. ყოველ საღამოს, ღმერთს ვთხოვდი, რაიმე სერიოზული ავადმყოფობა გამოეგზავნა ჩემთვის, რომ სკოლა გამეცდინა. ვევედრებოდი დედას, ვიგონებდი ათას მიზეზს, ოღონდ კი მოახლოებული სკოლის ავტობუსის ხმა არ გამეგონა, რადგან ჯოჯოხეთი სწორედ იქიდან იწყებოდა. თანაკლასელები სკამზე დაჯდომის საშუალებას არ მაძლევდნენ, აუცილებლად მართმევდნენ ჩანთას ან ქუდს და ერთმანეთს ესროდნენ. ამ ყველაფერს, სკოლის ავტობუსის მძღოლი უყურებდა, მაგრამ ბიჭები სიცილით ეუბნებოდნენ, ვერთობით, ვერ ხედავო და ისიც საქმეს უბრუნდებოდა. ერთადერთხელ ვცადე მასწავლებელთან ხმის ამოღება, მან კი მოძალადე კლასელების პირისპირ დამაყენა და იმავეს გამეორება მთხოვა. რა თქმა უნდა, ყველაფერი ვიუარე, მე ხომ ვიცოდი რაც მომელოდა შემდეგ, სკოლის ტუალეტში ან გასასვლელთან.“

ეს გულახდილი ჩანაწერები ბულინგის მსხვერპლის კლასიკურ პორტრეტს გვიხატავს. ბავშვი, რომელიც თანატოლების მხრიდან მუდმივ ძალადობას განიცდის, უფრთხის უფროსებთან გულახდილობას, რადგან ამას შესაძლოა კიდევ უფრო მძიმე შედეგი მოჰყვეს. მსხვერპლი ცდილობს, იყოს შეუმჩნეველი, საშიშროების შემთხვევაში შეტევას ან თავის დაცვას კი არ ცდილობს, არამედ ფრთხება, ტირის, საცოდავი და უბედური ჩანს. ბავშვი-მსხვერპლი უმეტეს დროს საკლასო ოთახში ატარებს, შესვენებების დროსაც კი არ ტოვებს მას, გაურბის თანა-

ტოლთა ხმაურიან თავყრილობებს. ასეთ ბავშვს შესაძლოა გაუჩნდეს სამედიცინო ჩივილებიც: მოუსვენარი ძილი, თავის ან მუცლის ტკივილი, უმადობა, ენურეზი.

ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტერორის ეპიზოდის შემდეგ უარესდება ბავშვის აკადემიური მოსწრება. ასეთი მოსწავლეები თავს არიდებენ სკოლაში ჩატარებულ საზოგადოებრივ ღონისძიებებში მონაწილეობას, კარგავენ მეგობრებს თანაკლასელთა შორის, სწავლის ხალისს, მოტივაციას. უკიდურესად მძიმე ფორმის ბულინგი შესაძლოა დასრულდეს სუიციდით.

ბულინგის მსხვერპლებს ახასიათებთ მაღალი მგრძნობელობა, შფოთვა, ტირილისკენ მიდრეკილება, ფიზიკური სისუსტე, დაბალი თვითშეფასება, აქვთ მცირე სოციალური მხარდაჭერა, მსხვერპლი ბავშვები ამჯობინებენ უფროსებთან დროის გატარებას. ბულინგის მსხვერპლის მაგალითი შეიძლება შეფასდეს, როგორც გარიყული ბავშვი ქცევითი პრობლემებით, საკუთარი თავის დაბალი რწმენით და სოციალური და კომუნიკაციის სირთულეებით.

მრავალრიცხოვანი კვლევები აჩვენებს, რომ ბავშვები, რომლებსაც აქვთ სწავლის სირთულეები, ყურადღების დეფიციტი, აუტისტური სპექტრის აშლილობა, დიაბეტი, ეპილეფსია, კვების და სხვა დარღვევები თუ ქრონიკული დაავადებები, მით უფრო, თუ ისინი ბავშვის გარეგნობაზე მოქმედებს, მსხვერპლად გახდომის რისკის ჯგუფში ხვდებიან. ბულინგის ქვეშ მყოფი ბავშვები სამჯერ უფრო ხშირად განიცდიან ჯანმრთელობის და აკადემიურ სირთულეებს, ვიდრე მათი თანატოლები, აღენიშნებათ შფოთვით-დეპრესიული აშლილობის სიმპტომები, აპათია, თავის ტკივილი, თვითმკვლელობის მცდელობა. ამ გამოცდილების შედეგად, ბავშვების სამყარო საფრთხეებით სავსე წარმოუდგენიათ, ხოლო საკუთარ თავი, ადამიანად, რომელსაც არ შეუძლია გავლენა მოახდინონ იმაზე, რაც მის ირგვლივ ხდება.

3.2.2. ვინ ახორციელებს ბულინგს?

ბულინგის ჩამდენ ადამიანებს ახასიათებენ, როგორც: დიდებს, ძალიან ძლიერებს, უხეშებსა და უსიამოვნო „მონსტრებს“. თუმცა, ეს მხოლოდ სტერეოტიპებია. სინამდვილეში, არ არსებობს ისეთი კონკრეტული თვისებები, რომლებიც აბსოლუტურად ყველა ბულინგის ჩამდენ ადამიანს უცვლელად ახასიათებს. უფრო მეტიც, ბულინგის ჩამდენი პიროვნება ნებისმიერი სახის სოციალური, ემოციური, ფიზიკური, ინტელექტუალური, ოჯახისა და გარემო პირობებიდან მომდინარეობს. შესაძლოა, თავად იგი იყოს მსხვერპლი, რომელიც თავის ბრაზს შემდგომ მასზე უფრო სუსტი პიროვნებისაკენ მიმართავს.

მჩაგვრელები სხვა ბავშვების თვალყურს ადევნებენ, როგორც წესი, ავლენენ უხეშობას და თანაგრძნობის ნაკლებობას მსხვერპლის მიმართ, შეიძლება იყვნენ აგრესიულები უფროსების მიმართაც. უჭირთ წესების დაცვა. ბულინგის გამტარებლები, თანატოლებთან შედარებით, ნაკლებად დეპრესიულები და მარტოსულები არიან და ხშირად აქვთ მაღალი სოციალური სტატუსი. თავის მხრივ, ყველაზე ხშირად, თავად არიან ძალადობის მსხვერპლნი, რის შედეგადაც მათი ტრავმები გადადის სხვა ადამიანებზე.

მჩაგვრელის მიერ ბულინგის ძირითადი მოტივებია ძალაუფლების მოთხოვნილება, კმაყოფილების გრძნობა სხვისი ზიანის მიყენების შედეგად და ჯილდოები - მატერიალური (ფული, სიგარეტი, მსხვერპლისთვის წართმეული სხვა ნივთები) ან ფსიქოლოგიური (პრესტიჟი, სოციალური სტატუსი და ა.შ.).

3% ბავშვებისა აერთიანებს ორივე როლს, ამავდროულად იქცევა აგრესიულად და პროვოცირებას უკეთებს სხვა ბავშვებს საკუთარი თავისთვის ზიანის მიყენებისკენ ან ზოგიერთ სიტუაციაში კლასში ხდება მჩაგვრელი, ზოგიერთში კი ხდება მსხვერპლი. დამახასიათებელი ნიშნები, რომლებსაც ისინი ხშირად ავლენენ, არის ჰიპერაქტიურობა, იმპულსურობა, მოუხერხებლობა, აგრესიული ქცევა, დაბალი თვითკონტროლი, სოციალური კომპეტენციების სიმწირე, კონცენტრაციისა და სწავლის გაძნელება, შფოთვისა და დეპრესიული სიმპტომების არსებობა, ისინი უფრო ინფანტილურები არიან ვიდრე თანატოლები.

3.2.3. ბულინგის შემსწრეები

ბულინგის შემსწრე არის ბავშვი, რომლის თანდასწრებითაც ხდება ბულინგი. ბულინგის შემსწრე შეიძლება სამ როლში აღმოჩნდეს. ერთნი ხდებიან დამცველები და ცდილობენ მსხვერპლის დახმარებას, მეორენი პირიქით, ბულინგის განმახორციელებლებს უბავენ მხარს, ხოლო მესამენი, უბრალოდ აკვირდებიან და ნეიტრალიტეტს ინარჩუნებენ.

Upstander არის ადამიანი, რომელიც იღებს ზომებს, როდესაც ბულინგის მოწმე ხდება. თუნდაც ერთი ადამიანის მხარდაჭერამ შეიძლება დიდი გავლენა მოახდინოს მსხვერპლზე. როდესაც ბულინგის ქვეშ მყოფ ახალგაზრდებს თანატოლები იცავენ და მხარს უჭერენ, ისინი ნაკლებ სტრესს ღებულობენ.[21]

ჯონ დარლისა და ბიბ ლატანის მიხედვით, რომლებმაც პირველებმა გამოიკვლიეს „ბაისთენდერის“ ფენომენი 1970 წელს, ბულინგის შემსწრეების რეაგირება მყისიერი იშვიათად არის, რადგან ასეთ დროს სჭარბობს მსხვერპლად გახდომის შიში.[22] ბულინგის პრევენციის პროგრამები ხშირად მიმართულია ზუსტად ბულინგის შემსწრეების ცნობიერების ამაღლებისკენ, რათა მათ შეძლონ იყვნენ აქტიურნი და მხარი დაუჭირონ მსხვერპლს.

3.3. ბულინგის გამომწვევი რისკ-ფაქტორები

ბავშვის პიროვნებად ჩამოყალიბების პროცესში, კულტურაში დამკვიდრებული სოციალური ნორმები გადამწყვეტ როლს თამაშობს. ბავშვი დგას სამყაროს ცენტრში - თავისი შინაგანი და გარეგანი ფაქტორებით.

---

[21] ბულინგი სკოლებში: გავრცელება, დამკვირვებელთა რეაქცია და ასოციაციები სქესთან და ურთიერთობებთან, T. Eijigu და S. Teketel, 2021;
[22] ნეიტრალური „ბაისთენდერი“რატომ არ ეხმარება ის?, Bibb Latané, John M. Darley, 1970;

ფსიქო-სოციალური განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ბავშვს განსაკუთრებული საჭიროებები და მოთხოვნილებები გააჩნია, რომლებიც განაპირობებენ მის ქცევას. იმავდროულად, სოციალური გარემო, სადაც ბავშვი იზრდება, შესაძლოა იყოს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გავლენის მომხდენი.

მოზარდობის პერიოდისთვის დამახასიათებელი თავისებურებები, ბულინგის გამომწვევი ფაქტორების ანალიზისას, მნიშვნელოვანი კომპონენტია. ვინაიდან, ამ ასაკობრივი პერიოდში, ბავშვი მეტად მოწყვლადი ხდება და საჭიროებს განსაკუთრებულ მხარდაჭერასა და გაძლიერებას. სასკოლო გარემო კიდევ უფრო ხელსაყრელია ბულინგის გამოვლინებასა და გავრცელებისთვის.

ბულინგის გამომწვევი რისკ-ფაქტორების საილუსტრაციო ჩამონათვალი:

- ბულინგის ერთ-ერთი მიზეზია თანატოლების მხრიდან ბულერის წახალისება. მას აქცევენ ყურადღებას, ხდება პოპულარული, სხვებს ეშინიათ მისი. ასეთი წახალისება ხელს უწყობს ბულერის ძალადობრივი ქმედების განმეორებას;
- ზოგჯერ ბულინგის მიზეზი ხდება კონფორმიზმი - ჯგუფის წევრობისათვის ინდივიდი მასში მიღებულ წესებსა და ნორმებს ითავისებს. თუ ჯგუფში ბულინგი წახალისებული და მიღებულია, ხოლო ინდივიდს სურს ამ ჯგუფის წევრობა, გარკვეული ალბათობით, ისიც ბულერი გახდება;
- ბულინგის მსხვერპლად გახდომის შიში, კიდევ ერთი განმაპირობებელი მიზეზია;
- ფიზიკური განსხვავებულობა, სოციალური სტატუსი, განსხვავებული რელიგიური მრწამსი, განსხვავებული შეხედულებები ხშირად მოზარდებში დამამცირებელი მოპყრობის, სიძულვილის ენით ურთიერთობის და ზოგჯერ, ფიზიკური ძალადობის მიზეზიც კია.

3.4. ბულინგის შედეგი

საილუსტრაციოდ, უნდა აღინიშნოს რომ ბულინგს შეუძლია ფიზიკური, ემოციური და კოგნიტური განვითარებისა და ზრდის შეფერხება. იმისდა მიხედვით, თუ როგორია ბულინგის ხანგრძლივობა, ბავშვი შესაძლოა იტანჯებოდეს როგორც მოკლე, ისე გრძელვადიანი შედეგებით.

მოკლევადიანი შედეგებია:

- ფიზიკური დაზიანების მიღება;
- თავდაჯერებულობის და თვითშეფასების დაკარგვის განცდა;
- მეგობრების რწმენის დაკარგვა. იმის დაჯერება, რომ მათ არ შეუძლიათ მისი დაცვა, ამ მხარდაჭერა;
- მოძალადის მიმართ სიბრაზის განცდა და მათდამი შიშით ცხოვრება;
- სკოლაში მისვლის ყოველდღიური შიში;
- შფოთვის გამო მადის დაკარგვა;
- ტირილისა და დარდის შეკავების გამო ფიზიკური ტკივილების ჩივილი. მაგალითად, მუცლის ტკივილის ჩივილი.
- უძილობა და ღამის კოშმარები, განსაკუთრებით კვირა ღამით, როდესაც იცის, რომ მეორე დღეს სკოლაში წასვლა მოუწევს;
- ფულის, ტკბილეულის, ან საჭმლის მოპარვა, რომ მოძალადეს ასიამოვნოს და მისგან წამოსული ძალადობა დროებით შეაჩეროს. სკოლის გარეთ სოციალურ აქტივობებში მონაწილეობის მიღებაზე უარის თქმა, იმის შიშით, რომ მოძალადეც შეიძლება იქვე ახლოს იყოს;
- ბრაზის განცდა სკოლისა და მასწავლებლებისადმი იმის გამო, რომ მათ ძალადობა არ აღკვეთეს;
- მშობლების მოტყუება და პრობლემის დამალვა;

ჯანმო-ს მონაცემებით, ბულინგის გრძელვადიანი შედეგები:

- საკუთარი თავის შესახებ ნეგატიური დამოკიდებულების შენარჩუნება მთელი ცხოვრების განმავლობაში;
- საკუთარი თავის რწმენის ნაკლებობის გამო კონფლიქტებისათვის თავის არიდება;
- აკადემიურ ან სამუშაო გარემოში ნაკლები წარმატების მიღწევა;
- პრობლემები სასიყვარულო ურთიერთობების ფორმირებაში;
- ინტენსიური პესიმიზმის, დეპრესიის, სოციალური შფოთვის, ფობიის, სიმარტოვის ან იზოლაციის განცდა;
- ადიქცია(ალკოჰოლიზმი, ნარკომანია);
- პრობლემები სექსუალურ ცხოვრებაში;
- სამუშაოს პოვნა და შენარჩუნება;
- თვითმკვლელობის მცდელობები/თვითდაზიანებები

სოციალური შედეგები

სხვა კვლევის მიხედვით, როგორც მსხვერპლს, ისე მოძალადეებს უჭირთ საზოგადოებასთან ადაპტაცია. პირველები თავს მარტოსულად გრძნობენ, მათთვის რთულია მეგობრების შეძენა. ეს უკანასკნელი და ისინი, ვინც ორივე როლში იყვნენ, თავს იზოლირებულად გრძნობენ საზოგადოებისგან. გარდა ამისა, დაზარალებულებს ახასიათებთ სოციალური მოუმწიფებლობა.

3.4.1. თუ თქვენი შვილი განიცდის ბულინგს

ყველა ბავშვს არ შეუძლია და არ სურს მშობლებს უამბოს მისი პრობლემების შესახებ და რაც უფრო დიდია ბავშვი, მით ნაკლებია ალბათობა იმისა, რომ მშობლებს შესჩივლოს იმაზე, რაც ხდება. თქვენი შვილის მდგომარეობის მიმართ ყურადღება უნდა გამოიჩინოთ, მაგრამ იმგვარად, რომ ეს ზემზრუნველობაში არ გადაიზარდოს. თუ თვითონ არაფერს ამბობს, უნდა

დააკვირდეთ. უპირველეს ყოვლისა, თქვენ უნდა წახვიდეთ სკოლაში, ისაუბროთ მასწავლებლებთან თქვენი შვილის თანაკლასელებთან ურთიერთობის შესახებ, ნახოთ, როგორ იქცევა ბავშვი კლასში, სკოლის შემდეგ ან დასვენების დროს, არდადეგებზე, იჩენს თუ არა ინიციატივას კომუნიკაციაში, ვისთან ურთიერთობს, ვინ ურთიერთობს მასთან და ა.შ. შე-გიძლიათ მიმართოთ ფსიქოლოგს, მისთვის უფრო ადვილია ბავშვის მდგომარეობის გაგება.

მშობელმა აუცილებლად უნდა მიაქციოს ყურადღება ბავშვის შემდეგ სიმპტომებს:

- უხალისოდ დადის სკოლაში და ძალიან უხარია სკოლის გაცდენის ნებისმიერი შესაძლებლობა;
- სკოლიდან მოწყენილი/დეპრესიული ბრუნდება;
- ხშირად ტირის თვალშისაცემი მიზეზის გარეშე;
- არასოდეს ახსენებს არცერთ თანაკლასელს;
- ძალიან ცოტას საუბრობს სასკოლო ცხოვრებაზე;
- არ იცის, ვის დაურეკოს გაკვეთილების გასაგებად ან საერთოდ უარს ამბობს ვინმესთან დარეკვაზე;
- მარტოსულია და არავის ეპატიჟება სტუმრად დაბადების დღეებზე.

თუ იცით, რომ თქვენი შვილი ბულინგის მსხვერპლია, შეგიძლიათ მას დაეხმაროთ[23]:

- მოუსმინეთ თქვენს შვილს ღიად და მშვიდად. ფოკუსირება გააკეთეთ იმაზე, რომ მხარს უჭერთ, ნაცვლად იმისა, რომ ეცადოთ იპოვოთ ბულინგის მიზეზი. დარწმუნდით, რომ მან იციან, რომ ეს მისი ბრალი არ არის.
- უთხარით ბავშვს, რომ გჯერათ მისი, რომ გიხარია, რომ გითხრათ, რომ ეს მათი ბრალი არ არის და რომ ყველაფერს გააკეთებთ მის დასახმარებლად;
- ესაუბრეთ მასწავლებელს ან სკოლას. თქვენ და თქვენი შვილი არ უნდა გაუმკლავდეთ ბულინგს მარტო. გაარკვიეთ

[23] „როგორ ვესაუბროთ ბავშვებს ბულინგის შესახებ, რჩევები მშობლებისთვის“, UNICEF;

სკოლის პოლიტიკა ბულინგთან მიმართებაში, ქცევის კოდექსი ან ანტიბულინგული პროგრამები;
- დარწმუნდით, რომ ბავშვმა იცის, რომ ნებისმიერ დროს შეუძლიათ თქვენთან საუბარი და დაარწმუნეთ, რომ ყველაფერი უკეთესობისკენ იქნება.

3.4.2. თუ თქვენი შვილი სხვა ბავშვებს ჩაგრავს

ნიშნები იმისა, რომ თქვენი შვილი აბულინგებს სხვა ბავშვებს:

- იქცევა აგრესიულად, ხშირად ერევა კონფლიქტებში და ჩხუბში;
- ხშირად გიკავშირდებიან სკოლიდან ბავშვის ქცევით პრობლემებთან დაკავშირებით;
- მეგობრობს ბავშვებთან, რომლებიც აბულინგებენ სხვებს;
- არ იღებს პასუხისმგებლობას თავის საქციელზე. სხვებს ადანაშაულებს თავის პრობლემებში;
- ზედმეტ ყურადღებას აქცევს თავისი რეპუტაციას ან პოპულარობას;
- აქვს ნივთები, რაც არ გიყიდიათ ან ფული, რომელიც თქვენ არ მიგიციათ.

როგორ უნდა მოიქცეს მშობელი, თუ მისი შვილი ბულერია?

თუ ფიქრობთ ან იცით, რომ თქვენი შვილი აბულინგებს სხვა ბავშვებს, მნიშვნელოვანია გვახსოვდეთ, რომ ბავშვის ამგვარი ქცევა მრავალი მიზეზით შეიძლება იყოს განპირობებული. ბავშვების ამგვარი ქცევა შეიძლება ყურადღების დეფიციტით იყოს გამოწვეული ან/და ბრაზისა და ემოციების მართვის უნარ-ჩვევების სიმწირით. არსებობს რამდენიმე ნაბიჯი, რომელიც უნდა გადადგათ, რათა დაეხმაროთ თქვენს შვილს შეწყვიტოს ბულინგი:

კომუნიკაცია - იმის გაგება, თუ რატომ მოქმედებს თქვენი შვილი ამგვარად, დაგეხმარებათ გაიგოთ, როგორ დაეხმაროთ მას. სკოლაში თავს დაცულად გრძნობს? ხშირად ჩხუბობს მეგობართან ან და-ძმასთან? თუ ბავშვს უჭირს საკუთარი

ქცევის ახსნა, შეგიძლიათ მიმართოთ პროფესიონალს, რომელიც დაგეხმარებათ.

იმუშავეთ სოციალიზაციისთვის ჯანსაღი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე - მაგალითად, „წარმოიდგინოს თავი მათ ადგილზე“ იმ პიროვნების გამოცდილების წარმოდგენით, რომელიც ბულინგის მსხვერპლია, დაეხმარეთ ემპათიის გრძნობის განვითარებაში სხვადასხვა საშუალებით.

დააკვირდით საკუთარ თავს - ბავშვები ხშირად იმეორებენ იმ ქცევას, რომელსაც სახლში ხედავენ;

შედეგებისა და გამოსწორების გზებზე დისკუსია - არაძალადობრივი მეთოდების შეთავაზება, ბოდიშისა და პატიების თხოვნის წახალისება.

3.5. სირთულეები მასწავლებლების მიერ ბულინგის შემთხვევების იდენტიფიცირებაში

ბულინგი ხშირად ფარული პროცესია და მისი თავიდან ასაცილებლად, კონფლიქტის მოგვარებისა და შედეგების აღმოსაფხვრელად აუცილებელია ბავშვის გარემოსა და საგანმანათლებლო საქმიანობაში ჩართულ ყველა პირს შორის კოორდინაციის პრაქტიკული მექანიზმის არსებობა.

მოსწავლეებს ურჩევნიათ დამოუკიდებლად გაუმკლავდნენ სიტუაციას და უფროსების ჩართვის გარეშე, საკუთარ თავზე აიღონ და აირჩიონ ქცევის სტრატეგიები, რომლებიც ზოგჯერ მხოლოდ ხელს უწყობს ბულინგის სპირალის განვითარებას, მაგრამ არა მისგან თავის დაღწევას. ამიტომ, ზრდასრულთა მგრძნობელობა, ჩარევის დროულობა და მხარდაჭერა შეიძლება გადამწყვეტი იყოს. ბულინგის ამოცნობა ადვილი არ არის, რასაც მოწმობს მკვლევარების[24] შემდეგი დაკვირვება:

[24] Craig et al., 2000;

როდესაც მასწავლებელი ბავშვებთან ახლოს არის, მათზე ზრუნავს და აკვირდება, ფიზიკური ძალადობის მასშტაბები, რაც უფრო ადვილია ბულინგის შეფასება, მცირდება, ბულინგი ხდება ემოციური ზეწოლის ნაკლებად აშკარა ფორმა.

იმის გადაწყვეტა, არის თუ არა სიტუაცია ნამდვილად ბულინგი და რამდენად შეურაცხმყოფელი (სერიოზულია) არის ყველაზე გავრცელებული სირთულე, რომელიც ხელს უშლის მასწავლებლებს, მშობლებს, ადმინისტრაციასა და თანატოლებს ჩაერიონ პოტენციურად საშიშ სიტუაციებში[25]. ჩარევა უნდა იყოს მომხდარის სიმძიმის პროპორციული. სიტუაციის გადაჭარბებული შეფასება ისეთივე საშიშია, როგორც მისი ვერ ამოცნობა.

ბულინგის აღიარება ასოცირდება ბულინგის შესახებ აშკარა ან იმპლიციტური ცოდნის არსებობასთან და ძალადობის სხვა ფორმებისგან მისი განსხვავების უნართან. მსოფლიო გამოცდილებით, ბულინგის საწინააღმდეგო პოლიტიკა და ანტიბულინგური პროგრამების განხორციელება იწყება სასკოლო ბულინგის შესახებ ცნობიერების ამაღლებით, მსხვერპლის პიროვნებაზე მისი გავლენით და ბულინგის სიტუაციის ამოცნობის უნარის დადგენით. ეს უხსნის გზას რეაგირებისა და ჩარევისთვის. ბულინგის აღიარება აუცილებელია, როდესაც საქმე ეხება კონფლიქტთან გამკლავების გზის არჩევას: ბულინგი მოითხოვს ყველა მონაწილეს სპეციალურ კოორდინირებულ მუშაობას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მხოლოდ რამდენიმე ნიშნის ერთობლიობა იძლევა ბულინგის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას. ასევე, ბავშვები, რომლებიც არიან ბულინგის შემსწრეები შეიძლება გახდნენ სიგნალის გადამცემები. რა თქმა უნდა, მაქსიმალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია გულწრფელი საუბრის შედეგადაც, მაგრამ დაუშვებელია ბავშვის ან მოზარდის დაჟინებით „დაკითხვა“ ბულინგის შესახებ კითხვებით.

საკლასო გარემოს შესაფასებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ მოკლე კითხვები. მაგალითად, კითხვარი „ატმოსფერო საკ-

[25] ჰეზლერი, 1997;

ლასო ოთახში“. მოსწავლეებს სთხოვენ ანონიმურად უპასუხონ შემდეგ კითხვებს:

1. შეგიძლიათ უწოდოთ თქვენს კლასს მეგობრული? რატომ?
2. მოგწონთ თუ არა თქვენს კლასში არსებული ფსიქოლოგიური ატმოსფერო? რატომ?
3. არის კლასში ადამიანი, რომელსაც შეგიძლია უწოდო შენი ნამდვილი მეგობარი?
4. რის შეცვლას ისურვებდით კლასში ატმოსფეროს გასაუმჯობესებლად?
5. თანახმა იქნებით ისწავლოთ ერთსა და იმავე სკოლაში, ერთსა და იმავე მასწავლებლებთან, მაგრამ სხვა ბავშვებთან? რატომ?

3.6. სასკოლო სივრცეში ბულინგის პრევენცია

სასკოლო სივრცეში ბულინგის პრევენციისთვის მნიშვნელოვანია სასწავლო პროცესის ყველა მონაწილის ცნობიერების ამაღლება და პრევენციაში ჩართულობა. ბულინგის პრევენციის ეფექტურობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებში დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არის ის სისტემური და არა ეპიზოდური. სისტემატური პრევენცია ხორციელდება შემდეგ დონეზე: პერსონალური, ჯგუფური, სკოლის მასშტაბით, ოჯახური.

სკოლის დონეზე ხორციელდება პრევენციის შემდეგი მიმართულებები:

- ხელსაყრელი და უსაფრთხო გარემოს შექმნა მოსწავლის პიროვნების განვითარებისა და სოციალიზაციისთვის;
- სასწავლო პროცესში ყველა მონაწილის ურთიერთთანამშრომლობის ხარისხის გაუმჯობესება;
- სკოლაში უსაფრთხო კლიმატის შექმნა;
- აღდგენითი მიდგომების გამოყენება;

- სასკოლო მედიაციის დანერგვა;
- თანატოლგანმანათლებლის ინსტიტუტის დანერგვა;
- არაძალადობრივი კომუნიკაციის მეთოდების დანერგვა;
- ბულინგის პრევენციის საკითხებში მასწავლებელთა კომპეტენციის ამაღლება და სკოლის პერსონალს შორის კოორდინაციის სისტემის ჩამოყალიბება;
- სკოლის მასშტაბით ბულინგის საწინააღმდეგო პოლიტიკის ბავშვებისა და ყველა აქტორის მონაწილეობით შემუშავება და აღსრულება;
- სკოლის მოსწავლეების არაფორმალური განათლების აქტივობებში ჩართულობა (ბავშვების საგანმანათლებლო და კლასგარეშე ინტერესების გათვალისწინებით, წრეები, პროფესიული გატაცებები, სპორტი და სხვ,);
- ბულინგზე რეაგირების შიდა მექანიზმების დანერგვა.

ჯგუფურ დონეზე (კლასში) ხორციელდება პრევენციის შემ-დეგი მიმართულებები:

- საკლასო ოთახში ბულინგის შემთხვევების გამოვლენის მიზნით ინტერპერსონალური ურთიერთობების დიაგნოსტიკა;
- საკლასო დისკუსიების ჩატარება, როგორც პოზიტიურ-სოციალიზაციის საშუალება, რომელიც იძლევა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის, აქტიური ცხოვრებისეული პოზიციის გამოვლენის, სხვისი საჭიროებებისადმი პატივისცემით და მგრძნობიარე დამოკიდებულების შეძენის საშუალებას;
- პრევენციული პროგრამების განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს კლასში არსებული გუნდების გაერთიანებას, კონკურენციის შემცირებას და ბავშვებს „აქტიური მეგობრობის“ უნარების სწავლებას.

ბულინგის პრევენციისას მასწავლებელს განსაკუთრებული როლი ეკისრება, როგორც თითოეული მოსწავლის, ისე ჯანსაღი სასკოლო გარემოს ჩამოყალიბების პროცესში. თითოეულმა მოსწავლემ უნდა მიიღოს მხარდაჭერა და დახმარება

ცხოვრების რთულ მომენტებში, მისი საკუთარი თავისებურებების გათვალისწინებით.

მასწავლებელი, რომელიც ახორციელებს მოსწავლეებში ბულინგის პრევენციას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს არსებული ურთიერთობების გამოსწორებას, კლასში მეგობრული და სანდო ურთიერთობების დამყარებას. საკლასო გუნდში, ერთობლივი მუშაობის პროცესში, ძალზე მნიშვნელოვანია ურთიერთდახმარებისა და მხარდაჭერის საფუძველზე ურთიერთობების დამყარება.

საგანმანათლებლო დაწესებულებში უსაფრთხო ფსიქოლოგიური გარემოს შესაქმნელად აუცილებელია პრევენციული ღონისძიებების გაერთიანება ერთ სისტემაში.

3.7. ანტიბულინგური პროგრამები

Olweus ბულინგის პრევენციის პროგრამა მოიცავს პერსონალის ტრენინგს, ბულინგის პრევენციის კომიტეტს სკოლაში, სკოლის მასშტაბით საორიენტაციო ღონისძიებას პროგრამის დაწყებამდე, მშობლების ჩართულობას, პერსონალის სადისკუსიო ჯგუფს და კლასში ჩატარებულ აქტივობის კომპონენტს.

პროგრამის ძირითადი კომპონენტები ხორციელდება სკოლის დონეზე, კლასის დონეზე და ინდივიდუალურ დონეზე.

სკოლის კომპონენტები მოიცავს ანონიმური კითხვარის ადმინისტრირებას, თითოეულ სკოლაში ბულინგის ბუნებისა და გავრცელების შესაფასებლად. გაზრდილი მეთვალყურეობა მოსწავლეებზე ბულინგის „ცხელ წერტილებზე“.

საკლასო ოთახის კომპონენტები მოიცავს ბულინგის საწინააღმდეგო კლასის წესების დაწესებას და აღსრულებას, ასევე მოსწავლეებთან, კლასში, რეგულარული შეხვედრების გამართვას.

ინდივიდუალური კომპონენტები მოიცავს ინტერვენციებს ბავშვებთან, რომლებიც იდენტიფიცირებულნი არიან როგორც მოძალადეები და მსხვერპლები, ასევე დისკუსიებს ჩართული მოსწავლეების მშობლებთან. ამ მცდელობებში მასწავლებლებს შეიძლება დაეხმარონ მრჩევლები და სკოლაში მომუშავე ფსიქიკური ჯანმრთელობის პროფესიონალები.[26]

KiVa არის ანტიბულინგის პროგრამა, რომელიც შემუშავებულია ტურკუს უნივერსიტეტში, ფინეთში, განათლებისა და კულტურის სამინისტროს დაფინანსებით. პროგრამა დაფუძნებულია მტკიცებულებებზე, რაც ნიშნავს, რომ KiVa-ს ეფექტურობა დადასტურებულია მეცნიერულად. KiVa სთავაზობს სკოლებს კონკრეტული ინსტრუმენტებისა და მასალების ფართო სპექტრს ბულინგის დასაძლევად.[27] მასწავლებელთა პროგრამის პაკეტი მოიცავს მასწავლებლებისა და მშობლების სახელმძღვანელოებს, ონლაინ თამაშებს, საინფორმაციო წერილებს, მშობლებისთვის პრეზენტაციებს, ონლაინ გამოკითხვებს მოსწავლეებისა და პერსონალისთვის, ვიდეო კლიპებს, პლაკატებს, ინსტრუქციებს.

3.8. რას ვაკეთებთ კრიზისული ინტერვენციის დროს?

პირველი ეტაპი - ხანძრის ჩაქრობა

ნაბიჯი 1 - შეაჩერეთ ინციდენტი, გამოყავით ორივე მხარე, დადექით მათ შორის და არ მისცეთ მათ კომუნიკაციის საშუალება. მიჰყევით სიტუაციას.

ნაბიჯი 2 - დარწმუნდით, რომ ყველაფერი რიგზეა, საჭიროების შემთხვევაში, გამოიძახეთ პოლიცია და/ან სასწრაფო დახმარება.

---

[26] https://nationalgangcenter.ojp.gov/spt/Programs/47;
[27] https://www.kivaprogram.net/;

ნაბიჯი 3 - დარწმუნდით, რომ მხარეებს არ შეუძლიათ კომუნიკაცია, თუ სიტუაცია დაიძაბა, გაიყვანეთ ბავშვები სხვადასხვა ოთახებში და დამატებით მოიხმეთ სპეციალისტი დახმარებისთვის.

პარალელურად შეგიძლიათ დასვათ კითხვები ინციდენტთან დაკავშირებით, რათა გაიგოთ ინციდენტის არსი და სიმძიმე. ნუ სთხოვთ მათ/ბავშვებს ბოდიშის მოხდას.

ნაბიჯი 4 - საქმის დოკუმენტირება შემდგომი ჩარევისთვის.

მეორე ეტაპი - სიტუაციის ანალიზი

ნაბიჯი 1 - სპეციალისტების, მასწავლებლებისა და მშობლების შეხვედრა.

ნაბიჯი 2 - მხარეებთან გასაუბრება სიტუაციის უკეთ შესაფასებლად.

ნაბიჯი 3 - მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, განსაზღვრეთ:

• რა ტიპის ინტერვენციას ვატარებთ ბულინგის განმახორციელებელთან?
• რა სახის დახმარება სჭირდება მსხვერპლს?
• რა ტიპის ინტერვენციას ვატარებთ შემთხვევის დანარჩენ მონაწილეებთან?

მნიშვნელოვანი:

- სასწავლო ტრენინგების ჩატარება;
- ბულერის, დაზარალებულთა და მოწმეთა ფსიქოლოგის მომსახურება;
- ბულერის მიმართ სანქციების დაწესება.

4. რა არის კიბერბულინგი?

კიბერბულინგი ბულინგის ფორმაა, რომელიც ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით ხდება. კიბერბულინგი შეიძლება მოხდეს სოციალურ ქსელებში, მესენჯერებში, სათამაშო პლატფორმებსა თუ მობილურ ტელეფონებში. ეს არის ქცევის მიზანმიმართული ნიმუში, რომელიც მიზნად ისახავს დააშინოს, ანერვიულოს ან შეარცხვინოს ადამიანი, რომელიც იყო ბულინგის სამიზნე. მაგალითად:

- ცრუ ინფორმაციის გავრცელება ან ვინმეს უხერხული ფოტოების გამოქვეყნება სოციალურ მედიაში;
- მესინჯერებში მავნე შეტყობინებების ან მუქარის გაგზავნა;
- სხვა პიროვნების ფოტოებით და მათი სახელით, სხვებისთვის, შეუსაბამო მესიჯების გაგზავნა.

სოციალური პლატფორმების მთელი სპექტრი, მათ შორის ჩეთის ოთახები, ბლოგები და შეტყობინებები, გამოიყენება კიბერბულინგის დროს. კიბერბულინგმა შეიძლება გამოიწვიოს დიდი ზიანი, რადგან ის მუდმივ კვალს ტოვებს კიბერსივრცეში და შეუძლია სწრაფად მიაღწიოს ფართო აუდიტორიას. ბულინგი და კიბერბულინგი ერთმანეთს ემთხვევა, რაც საზიანო ქცევის უწყვეტობას ქმნის.[28]

ბავშვები იყენებენ ტექნოლოგიას ძალიან მცირე ასაკში - მაშინაც კი, თუ მათ ამის უფლება არ აქვთ. მათ ჰყავთ მეგობრები, რომლებსაც აქვთ შეუზღუდავი წვდომა მოწყობილობებზე და თამაშებზე, ან უფროს და-ძმები, რომელთა საშუალებით აღწევენ ამას.

გაეროს ბავშვთა ფონდის 2017 წლის კვლევა: ,,ბავშვები ციფრულ სამყაროში“[29] ცალსახად პასუხობს აღნიშნულ გამოწვევას. „ბავშვობაში მეც ვყოფილვარ ბულინგის მსხვერპლი,

[28] ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებში გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის წლიური ანგარიში, 2016 წელი;
[29] ბავშვები ციფრულ სამყაროში - ანგარიში, UNICEF, 2017;

მაგრამ სახლში როცა ვბრუნდებოდი და კარს მივხურავდი, იქ მთავრდებოდა ჩემი ჩაგვრა. ახლა ასე აღარაა. ბავშვები მარტო არასდროს არიან. ბულინგი, ინტერნეტის წყალობით, შეიძლება, იყოს ყველგან და ნებისმიერ დროს. ეს არის ონლაინ ცხოვრების ერთ-ერთი ზიანი“, - ამბობს ბრიტანელი ექსპერტი ჯონ კარი. როგორც მან აღნიშნა, ბავშვების ინტერნეტში უსაფრთხოების შესახებ დისკუსია ყველა ქვეყანაში აქტუალურია და რისკი ყველგან ერთნაირია.

„სამი პრობლემა იკვეთება. პირველია შინაარსი, რითაც არიან ბავშვები დაკავებულნი ინტერნეტში; მეორე, ქცევა, ანუ რას აკეთებენ და როგორ იქცევიან ციფრულ სივრცეში და მესამე, კომერცია ანუ ბიზნესი, რომლის მანიპულაციის მსხვერპლნიც ადვილად ხდებიან ბავშვები. ამ პრობლემების გადაჭრის ორი ძირითადი გზა არსებობს. ერთია ტექნიკური მეთოდი, შეზღუდვა და ლიმიტის დაწესება ინტერნეტთან წვდომაზე, მეორე - საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების კუთხით ბავშვებთან მუშაობა", - ამბობს ჯონ კარი.

აპლიკაციები შექმნილია იმისთვის, რომ განაპირობოს მასზე დამოკიდებულება, ამიტომ თქვენს შვილს სურს რაც შეიძლება მეტი „ფოლოუერი“ ჰყავდეს და მეტი მოწონება ჰქონდეს. „ლაიქები“, გულები, სხვადასხვა „ემოჯები“ სოციალური ვალუტაა, რომელიც მიმართულია ბავშვის ტვინში დაჯილდოების ცენტრზე, აგრძნობინებს მას თავს მიმზიდველად და საჭიროდ. ბავშვებს მით უფრო ესაჭიროებათ ამგვარი ჯილდო და ყურადღება.

ე.წ. „ნუდების“ გაგზავნა შეიძლება ნებისმიერ ბავშვს სთხოვონ. შესაძლებელია, რომ მან არ გაუგზავნოს, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ მას გამოუგზავნონ. ეს შეიძლება იყოს სკოლიდან რომელიმე თანატოლი ან სულაც ონლაინ თამაშიდან თუ სხვა ონლაინ აქტივობიდან გაცნობილი ადამიანი. ასევე, შესაძლებელია ინტიმური ფოტოს ან ვიდეო მასალის გაგზავნის მოთხოვნით, მუქარა ან იძულება გამოიყენონ. ასეთ დროს, ბავშვს უჭირს აარჩიოს რომელი სჯობს, მშობლისთვის თქმა თუ

მოძალადესთან ურთიერთობა, რადგან მას ორივე საშიშად ესახება.[30]

უხერხულობის შემქმნელი კონტენტის გავრცელება - სოციალური ქსელის სტატუსის, კომენტარის, ჭორის, ფოტოს, ვიდეოს და ა.შ. გავრცელება ან ვებ-გვერდის შექმნა, რომელიც ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს უხერხულობას შეუქმნის, მათ გულისტკენას ან წყენას გამოიწვევს;

სიძულვილის ენის შემცველი/დამცინავი კონტენტის გავრცელება - სიძულვილის, დაცინვის, დამცირების, მუქარის შემცველი მესიჯის ან წერილის მიწერა, პოსტის გავრცელება, რომელიც შეეხება ადამიანის სოციალურ მდგომარეობას, რასას, რელიგიას, ეთნიკურ წარმომავლობას ან ადამიანის პირად თვისებებს (საუბრის მანერა), გარეგნობას (წითური თმა, მსუქანი, გამხდარი, დაბალი და ა.შ.), ჩაცმულობას და სხვა;

მუქარა - ფიზიკური ზიანის ან ტკივილის მიყენების მუქარა;

თვითმკვლელობისკენ წაქეზება - თვითმკვლელობისკენ წაქეზება ან ბრძანების მიცემა;

შეცდომაში შეყვანა - სხვა ადამიანად თავის წარდგენა, რათა მეორე ადამიანისგან მიიღო ან მის შესახებ პირადი თუ ცრუ ინფორმაცია გამოაქვეყნო;

სექსტინგი - სექსუალური ხასიათის სახელის, კომენტარის, პოსტის ან შიშველი ფოტოს გავრცელება, რომელიც მიზნად ისახავს დაცინვას, უხერხულ მდგომარეობაში ჩაგდებას, შერცხვენას ან სექსუალური ძალადობის შემცველ მუქარას და მოწოდებას;

დოქსინგი - ისეთი პერსონალური ინფორმაციის, როგორიცაა მისამართი, პირადი ნომერი, პასპორტის ნომერი, საბანკო ბარათის ნომერი, ტელეფონის ნომერი, სოციალური მედიის გვერდის და სხვა პერსონალური მონაცემების გასაჯაროება სხვა ადამიანების მიერ კიბერბულინგის წარმოების მიზნით;

---

[30] www.suffolkdistrictattorney.com;

კიბერ-ადევნება - არასასურველი და განმეორებითი კომუნიკაციის დამყარების მცდელობა ან კომუნიკაცია, რომელიც ელექტრონულად ან მობილური მოწყობილობის საშუალებით ხორციელდება. კიბერ ადევნება შეიძლება, ფიზიკურ ადევნებასა და სექსუალურ შევიწროებაში გადაიზარდოს.

4.1. როგორ ამოვიცნოთ კიბერბულინგი?

მოზარდი შესაძლოა, კიბერბულინგის მსხვერპლია, თუ მის ქმედებებში მოულოდნელი, უჩვეულო ცვლილებებია[31]:

- მოულოდნელად შეწყვეტს ტელეფონის, კომპიუტერის, სოციალური მედიის გამოყენებას ან ამ პროცესში ნერვიულდება თუ პირიქით, ჩვეულებრივზე ხშირად იყენებს მათ.
- შეტყობინების მიღების, სოციალური მედიის გამოყენების ან თამაშის შემდეგ ავლენს გაბრაზებას, იმედგაცრუებას, დეპრესიას, იკეტება საკუთარ თავში;
- აღარ უნდა სკოლაში წასვლა ან გარეთ გასვლა და აკადემიური მოსწრება მკვეთრად მცირდება;
- არ სურს საუბარი, განსაკუთრებით მის ონლაინ აქტივობებზე, ჩაიკეტა;
- ჩვეულებრივზე დიდხანს სძინავს ან აწუხებს უძილობა ან ცვლის კვების რეჟიმს;
- კარგავს თანატოლებთან ურთიერთობის სურვილს.

4.2. როგორ დავიცვათ შვილები კიბერბულინგისგან?

რთულია მშობელმა დაიცვას შვილი კიბერბულინგისგან თუ თავად არ ესმის მას პრობლემის არსი. მშობელსა და შვილს შორის ნდობის ფაქტორი კი ერთ-ერთი ყველაზე განმსაზღვრელი საკითხია კიბერბულინგისგან დასაცავად. თუმცა,

[31] „კიბერბულინგის გამაფრთხილებელი ნიშნები“, S. Hinduja და J.Patchin;

მშობლები ხშირად, ყველაზე ბოლოს იგებენ შვილების ამ პრობლემის შესახებ. [32]

- უპირველეს ყოვლისა, შეისწავლეთ როგორ მუშაობს სხვადასხვა სოციალური ქსელი და აპლიკაციები. გაეცანით Snapchat-ს, Facebook-ს, Instagram-ს, Twitter-ს და რაც მთავარია Tik-Tok-ს.
- რეგულარულად და კონკრეტულად ესაუბრეთ თქვენს შვილებს ონლაინ კომუნიკაციის საკითხებზე. შეახსენეთ მათ, რომ შეუძლიათ მოგმართონ დახმარებისთვის ნებისმიერ დროს, მით უფრო, თუ რაიმე საშიში, გამაღიზიანებელი ან შეურაცხმყოფელი ხდება მათთვის;
- დააწესეთ ინტერნეტის გამოყენების შეზღუდვები;
- შვილებს ესაუბრეთ ინტერნეტ საფრთხეების შესახებ და აამაღლეთ მათი ცნობიერება;
- აუხსენით შვილებს, რომ არ უპასუხონ კიბერბულინგის შემთხვევას, მაგრამ არ წაშალონ მიღებული შეტყობინება, მეტიც შეინახონ, რათა საჭიროების შემთხვევაში მტკიცებულებად გამოიყენოთ;
- კიბერბულინგის შემთხვევაში, არ დაადანაშაულოთ ბავშვი და გამოხატეთ მხარდაჭერა. გაარკვიეთ რამდენი ხანია გრძელდება ბულინგი და დარწმუნდით, რომ ერთად იმუშავებთ გამოსავლის მოსაძებნად;
- არ დატოვოთ უყურადღებოდ შემთხვევა, რადგან კიბერბულინგის ემოციური ტკივილი ძალიან რეალურია და მას შეიძლება ჰქონდეს ხანგრძლივი ეფექტი. გამოხატეთ სერიოზული დამოკიდებულება.
- არ დაემუქროთ ტელეფონის წართმევით ან კომპიუტერის ჩამორთმევით, თუკი ბავშვი პრობლემაზე სასაუბროდ მოვა თქვენთან. ამგვარი ქცევა, მომავალში, ბავშვს უფრო გაურთულებს თქვენს მიმართ ნდობას.
- ასწავლეთ შვილს დარეპორტების ფუნქციის შესახებ. დღესდღეობით ყველა პოპულარულმა სოციალურმა ქსელმა უკვე გააცნობიერა კიბერბულინგის პრობლემის მასშტაბები.

[32] https://www.parents.com/kids/problems/bullying/18-tips-to-stop-cyberbullying/;

არსებობს ინსტრუმენტები Twitter-ზე, Instagram-ზე, Facebook-ზე და Tik-Tok-ზე, სხვა პლატფორმებზე, რომლებიც დაგეხმარებათ შეზღუდოთ არასასურველ მომხმარებლებთან ურთიერთობა, შეატყობინოთ კანონის დარღვევის და შევიწროების შესახებ;

- ესაუბრეთ თქვენს შვილს და უთხარით, რომ ინტერნეტში ზუსტად ისე უნდა მოიქცეს, როგორც რეალობაში. ჩვეულებრივ ცხოვრებაში არავინ დგას შუა ქუჩაში და არ ყვირის შეურაცხმყოფელ სიტყვებს;
- თუ გრძნობთ, რომ სიტუაცია თქვენს კონტროლს არ ექვემდებარება მიმართეთ პოლიციას და ბავშვთა ფსიქოლოგს დახმარების დროულად მისაღებად.

4.3. ბულინგის სამი ძირითადი განსხვავება ინტერნეტში და რეალურ ცხოვრებაში

- ინტერნეტ ბულინგის შემთხვევაში არ არსებობს დროის ან გეოგრაფიული შეზღუდვები. როდესაც ბულინგი ხდება სასკოლო სივრცეში, პროცესი არ გრძელდება 24/7. ამავდროულად, ბულინგის განმახორციელებლების წრე შემოიფარგლება მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებით. ინტერნეტში ასეთი საზღვრები არ არსებობს: სკოლის დასრულება არ წყვეტს ბულინგის საკითხს და დისტანცია და პირადი ნაცნობობის ნაკლებობა ხელს არ უშლის სხვა ადამიანებს მიმართონ ბულინგს. ონლაინ ბულინგი მსხვერპლს მოსვენებას არასდროს აძლევს.

  კიბერბულინგის შემთხვევაში უფრო ადვილია ახალი წევრების მოზიდვა და ბულინგის გაფართოება. ინფორმაცია ინტერნეტში სპონტანურად და დიდი სიჩქარით ვრცელდება. რეალობაში კი, მაგალითად ცილისწამებისა და ჭორების გავრცელებას დრო სჭირდება, გარდა ამისა, შიში შემაკავებელი ფაქტორია ჭორების გავრცელებისას. ინტერნეტში კი შეტყობინება მყისიერად იგზავნება და ამგვარად უზარმაზარი აუდიტორიის მიზიდვა ხდება, ასევე ანონიმ-

ურობის ფაქტორიც ამცირებს შიშის განცდას. ამ პროცესის დაწყების შემდეგ მისი შეჩერება რთულია.

- კიბერბულინგის შემთხვევაში დაუსჯელობის განცდაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს. გავრცელებისთვის არ არის აუცილებელი ბულინგის განმახორციელებელმა პერსონალური ინფორმაცია გაამჟღავნოს, ე.წ. „ფეიკ ექაუნთი“ ბულერს ანონიმურობის დაცვით გზით, კიდევ უფრო მეტ სიძლიერეს მატებს.

4.4. კიბერბულინგის მოსალოდნელი შედეგები

კიბერბულინგის შედეგების კლასიფიკაცია ემოციურ-ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზიანის ნიშნით ხდება:

ფსიქო-ემოციური: დეპრესია, უხერხულობა, დარდი, ნერვიულობა, იმედგაცრუება, ბრაზი, აგრესია, თავდაჯერების დაკარგვა, დაბალი თვითშეფასება, შიში - ასეთი ფსიქოლოგიური მდგომარეობა, თავის მხრივ, უარყოფას, ჩაკეტვას, ოჯახში, სკოლაში და მეგობრებთან პრობლემებს, დაბალ აკადემიურ მოსწრებას იწვევს. ზოგ შემთხვევაში მოზარდი აგრესიული - ხოლო მისი ქცევა ძალადობრივი ხდება.

ფიზიკური: თვითდაზიანება, თვითტკივილის მიყენება, თვითმკვლელობაზე ფიქრი, მცდელობა და აღსრულება.

კიბერბულინგი თითოეულ ბავშვზე სხვადასხვაგვარად მოქმედებს, მაგრამ მისი გადალახვა შესაძლებელია საჭირო დახმარების საშუალებით.

4.5. STOP, BLOCK, TALK სტრატეგია კიბერბულინგთან გასამკლავებლად

STOPBLOCKTALK მიდგომა, ეფექტიანი მექანიზმია კიბერ-ბულინგთან გასამკლავებლად. ეს მიდგომა გამოიყენება, როგ-ორც სკოლებში, ასევე მისი გაზიარება ხდება მშობლებთან, რათა მათ დროულად შეძლონ შვილისთვის დახმარების აღმოჩენა. [33]

STOP: გამოიჩინე სიფრთხილე და ყოველთვის დაფიქრდი, რას აზიარებ ინტერნეტ სივრცეში;

BLOCK: თუკი ვინმე რაიმე ფორმით გაწუხებს და დისკომ-ფორტს გიქმნის, არასოდეს შეეგუო ამას და დაარეპორტე;

TALK: ისაუბრე სანდო ადამიანთან, თუ ვინმე გაწუხებს.

4.6. რეკომენდაციები მშობლებისთვის

- აკონტროლეთ არასრულწლოვნების ინტერნეტ აქტივობები;
- არასრულწლოვნის სოციალურ ქსელში დარეგისტრირებ-ამდე ან აპლიკაციის გამოყენებამდე გაეცანით მისი კონ-ფიდენციალურობის პირობებს;
- შეამოწმეთ მათი მონაცემების უსაფრთხოების პირველადი პარამეტრები და დააყენეთ ისინი სასურველ დონეზე;
- მიეცით რჩევები მათი უსაფრთხოდ გამოყენების შესახებ და განუმარტეთ ინტერნეტში მათ შესახებ ინფორმაციის განთავსების საფრთხეები;
- გააფრთხილეთ ბავშვები, არ გაუზიარონ პაროლი მესამე პირებს (მათ შორის, არც ახლო მეგობრებს), წინააღმდეგ შემთხვევაში, დაუყონებლივ შეცვალონ იგი;

[33] www.suffolkdistrictattorney.com;

- სხვისი ელექტრონული მოწყობილობის გამოყენებისას არ მონიშნონ მომხმარებლის/პაროლის დამახსოვრების ველი;
- სპეციალური პროგრამების გამოყენებით შესაძლებელია ელექტრონულ მოწყობილობებზე ბავშვებს დაუწესოთ ძირითადი ციფრული წესები, გაუწიოთ მეგზურობა სასარგებლო კონტენტისკენ, თვალი ადევნოთ მის ეკრანთან გატარებულ დროსა და დაუწესოთ (აპლიკაციების გამოყენების, ვებგვერდებზე წვდომის და ინტერნეტ სივრცეში აქტივობების) შეზღუდვები.

5. საერთაშორისო სტანდარტები ბულინგისა და ინტერნეტ ბულინგის წინააღმდეგ

ბავშვის უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტების ძირითადი პრინციპი მიმართულია ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვისკენ, რომელიც ყველასგან მოითხოვს, უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და ზრუნვით, როგორიც საჭიროა მისი კეთილდღეობისთვის.[34] 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის (16.2) მიზანია „დაასრულოს ძალადობა, ექსპლუატაცია, ტრეფიკინგი და ყველა სახის ძალადობა და მათი წამება“.[35]

ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებში გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ყოველწლიურ მოხსენებაში ნათქვამია, რომ ბავშვების დაცვა ბულინგისგან არის არა მხოლოდ ეთიკური მოთხოვნა, არამედ ადამიანის უფლებების დაცვის მნიშვნელობის საკითხი.[36]

---

[34] გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მესამე მუხლი;
[35] https://sdgs.un.org/goals;
[36] Annual report of the Special Representative of the SecretaryGeneral on Violence against Children, UN General Assembly, A/HRC/34/45, 3 January 2017, pg. 5, available at 1700017 (un.org)

გაეროს 2020 წლის 16 დეკემბრის რეზოლუციის პრეამბულა ბულინგის შესახებ ყურადღებას ამახვილებს ოჯახის უპირველეს პასუხისმგებლობაზე ბავშვების აღზრდასა და დაცვაში, მაგრამ ასევე აღიარებს იმ მნიშვნელოვან როლს, რომელიც კანონიერ მეურვეებს, აღმზრდელებს, მასწავლებლებს და სამოქალაქო საზოგადოებას აქვთ და რაც მედიას უნდა ჰქონდეს ბულინგის პრევენციის მიმართულებით.

UNICEF-ის მიერ 2019 წელს გამოქვეყნებული კვლევის თანახმად, 30 ქვეყანაში ყოველი მესამე მოზარდი არის ონლაინ ბულინგის მსხვერპლი, ხოლო ხუთიდან ერთი აცდენს სკოლას კიბერბულინგისა და ძალადობის გამო. [37]

ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ გაეროს 2015 წლის გლობალურმა კვლევამ დაადგინა, რომ კანონმდებლობა ბავშვთა მიმართ ყველა სახის ძალადობის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის ნებისმიერი ყოვლისმომცველი სტრატეგიის ძირითადი კომპონენტია.[38]

რამდენიმე ქვეყანამ - ბელიზმა, ნორვეგიამ, პერუმ, პორტუგალიამ, კორეის რესპუბლიკამ, შრი-ლანკამ, გაერთიანებულმა სამეფომ და შეერთებულმა შტატებმა - შემოიღეს სპეციალური კანონმდებლობა ბულინგისგან ბავშვების დასაცავად. კიბერბულინგის ფენომენის განხილვას იწყებს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაც.
ბავშვის უფლებათა კომიტეტის 2021 წლის ზოგადი კომენტარი ციფრულ სფეროში ბავშვთა უფლებების შესახებ საუბრობს ბავშვთა უფლებების და მათი საუკეთესო ინტერესების გონივრული რეალიზების კუთხით ციფრულ ტექნოლოგიებთან მათი სრულყოფილი ხელმწისაწვდომობის აუცილებლობაზე და მოუწოდებს სახელმწიფოებს მიიღონ საკანონმდებლო და ად-

---

[37] UNICEF-ის გამოკითხვა: 30 ქვეყანაში ახალგაზრდების მესამედზე მეტი აცხადებს, რომ არის ონლაინ ბულინგის მსხვერპლი;
[38] გაეროს გლობალური კვლევის კითხვარზე მთავრობების პასუხები აჩვენებს, რომ ქვეყნების 92%-ში არსებობს ბავშვთა მიმართ ძალადობის ან მისი ზოგიერთი გამოვლინების გარკვეული სახის საკანონმდებლო აკრძალვა.

მინისტრაციული ზომები ბავშვების ძალადობისგან დასაცავად ციფრულ გარემოში. აქვე, მნიშვნელოვანია ისეთი საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა და შემდგომ მისი აღსრულება, რომელიც დაიცავს ბავშვებს ონლაინ სივრცეში ძალადობის ყველა ფორმისგან.

ბავშვის უფლებათა კონვენციის 13 მუხლით, აღიარებულია ბავშვის ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლება და დადგენილია საზღვრები თუ რა შემთხვევაშია შესაძლებელი სახელმწიფოს მხრიდან ამ უფლებების შეზღუდვა.

ბულინგის საწინააღმდეგო სპეციფიკური კანონმდებლობის მიღება, განსაკუთრებით კიბერბულინგის შესახებ, შედარებით ახალი მოვლენაა. კონკრეტული კანონმდებლობის არარსებობა სულაც არ ნიშნავს სამართლებრივ ჩიხს, ვინაიდან სახელმწიფოებს შეუძლიათ მიმართონ ბულინგის მოქმედი დებულებების გამოყენებას მათ კონსტიტუციურ, სისხლის სამართლის, სამოქალაქო და საგანმანათლებლო კანონმდებლობაში. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მოიძებნება დებულებები, რომლებიც ეხება შევიწროების, თავდასხმის, პირადი ინფორმაციის გამჟღავნების და სიძულვილის გაღვივების აკრძალვას. სამოქალაქო კანონმდებლობა სეიძლება ითვალისწინებდეს ისეთი ნორმებს, როგორიცაა ცილისწამების ან შევიწროების გამო მიღებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. იმავდროულად, მნიშვნელოვანია კანონებსა და მათ შესრულებას შორის არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მონიტორინგი.

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-19 მუხლის მიხედვით, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა საჭირო საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, სოციალური და საგანმანათლებლო ღონისძიებები ბავშვთა დასაცავად ყველა ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობის, შეურაცხყოფის ან მოვლის ნაკლებობის ან დაუდევრობის, უხეში მოპყრობისა ან ექსპლუატაციისგან.

მაგალითად, სახელმწიფოებს შეუძლიათ შექმნან დაცვის ისეთი საშუალებები, რომლებიც საშუალებას მისცემს ბულინგის

მსხვერპლს აღძრას სამოქალაქო საქმეები ან მოიპოვოს შემაკავებელი ორდერები. შესაძლებელია შეიქმნას კიბერბულინგის აღმოფხვრის საკითხებზე მომუშავე სპეციალური ორგანო, რომელიც მათ შორის მიმართული იქნება საჩივრების გამოძიებისა და ინტერნეტის უსაფრთხოების სტანდარტების დაწესებაზე.[39]

მაგალითად, 2015 წელს ახალმა ზელანდიამ მიიღო კანონი "მავნე ციფრული კომუნიკაციების" შესახებ, რომელის მიხედვითად, კრიმინალიზებულია ისეთი შეტყობინებების გაგზავნა და ინტერნეტში იმგვარი მასალის განთავსება, რომელიც წინასწარი განზრახვით იწვევს სერიოზულ ემოციურ სტრესს ან თვითმკვლელობისკენ წაქეზებას. კანონმდებლობა შექმნილია მავნე კომუნიკაციების პრევენციისა და რეაგირებისთვის. ის უზრუნველყოფს სასამართლოს მიერ დადგენილ სამართლებრივი დაცვის საშუალებების ფართო სპექტრს, მათ შორის: მასალის ამოღებას, შესწორებას ან საჯაროდ ბოდიშის მოხდას ან ანონიმური კომუნიკაციის წყაროს ვინაობის გავრცელებას.

სხვა ქვეყნებში დაწესებულია სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომლებიც ბულინგის მსხვერპლებს საშუალებას აძლევს დაიწყოს სამოქალაქო სამართალწარმოება ან მოითხოვონ დაცვის ორდერი, ასევე ზომები, რომლებიც კრძალავს კონკრეტულ პირთან კომუნიკაციას, ზღუდავს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებას ან ელექტრონული მოწყობილობების დროებით ან სამუდამოდ ჩამორთმევას.

ავსტრალიაში, „ბავშვთა ონლაინ უსაფრთხოების გაძლიერების აქტით"[40] დაარსდა ბავშვთა eSafety კომისარი, რომელიც საჩივრების საშუალებით ითვალისწინებს ბავშვისთვის მიზანმიმართული მავნე მასალის სწრაფ ამოღებას სოციალური მედიიდან და ასევე ხელს უწყობს ბავშვების ონლაინ უსაფრთხოებას. კანონი 2018 წელს გადაიხედა და კომისარისა და კომუნი-

[39] იქვე.
[40] მიღებულია 2015 წელს, კანბერას პარალემენტის მიერ;

კაციების ეროვნული დეპარტამენტის მიერ შემუშავდა ეროვნული ონლაინ უსაფრთხოების სტრატეგიული ჩარჩო და გეგმა.

„ბავშთა ბულინგისგან დაცვის“ შესახებ გაეროს გენერალური მდივნის მოხსენებაში ნათქვამია, რომ ბულინგი და კიბერ-ბულინგი ერთმანეთს კვებავს და ბავშვებისთვის მავნე ქცევის განუწყვეტელ ჯაჭვს ქმნის. ბულინგი ბავშვებს ფსიქოლოგიური[41] და ფიზიკური ტრავმის ქვეშ აყენებს, რაც გავლენას ახდენს მათ თვითშეფასებაზე და სასკოლო საქმიანობაზე, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება საერთო გარემოზე.[42]

მაგალითად, კანადაში, მოსწავლეთა უსაფრთხოების შესახებ სკოლის საბჭოს მოთხოვნები, ბულინგის პრევენციისა და ჩარევის ჩათვლით, დადგენილია განათლების შესახებ კანონში. 2021 წელს ფინეთმა შეიმუშავა ახალი სამოქმედო გეგმა სკოლებში ბულინგისა და შევიწროების თავიდან ასაცილებლად. განათლებისა და კულტურის სამინისტრომ წარმოადგინა სამოქმედო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს სკოლებსა და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბულინგის, დაცინვის, ძალადობისა და შევიწროების პრევენციას. გეგმა ასევე მოიცავს პრევენციულ ზომებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ადრეული განვითარების ფაზაზე, ბავშვების ემოციური ინტელექტისა და ინტერპერსონალური უნარების გასაძლიერებლად.[43]

ბავშვის უფლებათა კონვენციის 28-29 მუხლების მიხედვით, ბავშვს აქვს განათლების უფლება. განათლების მიზანი მიმართული უნდა იყოს ბავშვის პიროვნების, ნიჭისა და გონებრივი თუ ფიზიკური შესაძლებლობების განვითარებაზე. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ ბავშვი აღიზარდოს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემით,

---

[41] ფარული ნაიარევი: როგორ აზიანებს ძალადობა ბავშვების ფსიქიკურ ჯანმრთელობას, ბავშვთა მიმართ ძალადობის საკითხებში გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ოფისი, 2020 წ

[42] იქვე.

[43] ხელმისაწვდომია https://okm.fi/en/-/action-plan-to-prevent-bullying-resources-education-and-legislative-amendments-at-the-centre

აგრეთვე ბავშვი მომზადდეს თავისუფალ საზოგადოებაში შეგნებული ცხოვრებისათვის გაგების, მშვიდობისა და შემწყნარებლობისთვის.

ბავშვთა კომიტეტის სასესიო მოხსენებაში (2020-2022) ნათქვამია, რომ ბავშვები და მოზარდები ამჟამად მეტად არიან დაუცველები კიბერბულინგის, სექსუალური ხასიათის შემცველი შეტყობინებების და ონლაინ სექსუალური შანტაჟის საფრთხის წინაშე. ბულინგისა და კიბერბულინგისგან ბავშვების დაცვის კონტექსტში, მნიშვნელოვანია შეიქმნას მგრძნობიარე სამართლებრივი დაცვის მექანიზმები და მონიტორინგის სისტემები, რაზეც ასევე მიანიშნებს ბავშვის უფლებათა კონვენციის 34-ე მუხლი, რომელიც მოუწოდებს სახელმწიფოებს უზრუნველყონ ბავშვთა დაცულობა ყოველგვარი სექსუალური ძალადობისგან.[44]

ბულინგისა და კიბერბულინგის წინააღმდეგ ბრძოლისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას ბავშთა მიმართ მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ ზოგადი კომენტარი No24 (2019). საერთაშორისო სტანდარტი იცავს ყველა ბავშვის უფლებას, ვინც დაარღვია ან ბრალდებულია სისხლის სამართლის კანონის დარღვევაში, დაქვემდებარებული იყოს მოქცევას, რომელიც მიმართულია ბავშვის ღირსების გრძნობისა და მნიშვნელობის განვითარებაზე.

6. ბავშვთა ძალადობისგან დაცვის ადგილობრივი საკანონმდებლო ჩარჩო

საქართველოს პარლამენტმა 2019 წლის 20 სექტემბერს ბავშვის უფლებათა კოდექსის მიიღო, რომელშიც თავმოყრილია

[44] ბავშვის უფლებათა კომიტეტის ანგარიში (2020-2022), გაეროს გენერალური ასამბლეა, ოფიციალური ანგარიშები, სამოცდამეშვიდე სესია, დანართი №41, § 33, მუხ. 6, ხელმისაწვდომია https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G22/355/06/PDF/G2235506.pdf?OpenElement

ბავშვის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებების რეალიზ-ებისვის ყველა ძირითადი საკითხი. ამასთან, გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია რატიფიცირებულია და მოქმედ კანონ-მდებლობას წარმოადგენს ქვეყანაში.

ბავშვის უფლებათა კოდექსმა განსაზღვრა ბავშვის დაცვის ეროვნული სისტემა – სოციალური კეთილდღეობის, განათ-ლების, ჯანმრთელობის დაცვის, უსაფრთხოებისა და მარ-თლმსაჯულების სისტემებში არსებული საქართველოს კანონ-მდებლობა, სხვა მარეგულირებელი ნორმები, პოლიტიკა და მომსახურებები, რომლებიც ემსახურება ბავშვის დაცვასთან დაკავშირებული რისკების პრევენციასა და აღმოფხვრას. კოდ-ექსის მიხედვით, ბავშვის დაცვის ეროვნული სისტემა მხარს უჭერს და აძლიერებს ბავშვს და მისი აღზრდისთვის პასუხის-მგებელ პირებს სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობისა და ბავშვის ოჯახისგან განცალკევების რისკის მაქსიმალურად შემცირების მიზნით. ბავშვის დაცვის ეროვნული სისტემა ემსახურება განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და მარ-თლმსაჯულების სისტემებში, ოჯახში და ნებისმიერ სხვა ადგილზე ბავშვის მიმართ ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის, ბავშვის ფიზიკური დასჯის, მისდამი სასტიკი, არაად-ამიანური და დამამცირებელი მოპყრობის, მისი ექსპლუატ-აციის, არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ბავშ-ვისთვის ზიანის მომტანი ტრადიციების პრევენციასა და აღ-მოფხვრას.

კოდექსის 53-ე მუხლმა მოიცვა ბავშვზე ძალადობის ყველა ფორმა - ბავშვს უფლება აქვს, დაცული იყოს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისგან, ჩაგვრისგან, იძულებისგან, დაზიანებისგან, უგულებელყოფისგან, დაუდევარი მოპყრობის-გან, წამებისგან, ექსპლუატაციისგან, არასრულწლოვნით ვაჭ-რობისგან (ტრეფიკინგისგან) და ძალადობის ნებისმიერი სხვა ფორმისგან ნებისმიერ ოჯახში, სკოლაში და სხვა ადგილზე, მათ შორის, ინტერნეტსივრცეში. იმის მიუხედავად, რომ კოდექ-სში ტერმინი ბულინგი არ გამოიყენება - კოდექსით ცალსახად

აღიარებულია ბავშვებს შორის ჩაგვრისგან დაცვის პასუხისმგებლობაც და ინტერნეტსივრცეში ძალადობის აკრძალვაც.

კოდექსი ავალდებულებს სახელმწიფოს ნებისმიერი ფორმის ძალადობისგან ბავშვის დასაცავად მიიღოს შესაბამისი ადმინისტრაციული, სოციალური და საგანმანათლებლო ზომები, მათ შორის, შექმნას ეფექტიანი მექანიზმები ბავშვისა და მისი ოჯახის მხარდაჭერისთვის, ბავშვის მიმართ ან ბავშვებს შორის ძალადობის ნებისმიერი ფორმის პრევენციისთვის, გამოვლენისთვის, მის შესახებ შეტყობინებისთვის, გასაჩივრებისთვის, რეფერირებისა და გამოძიებისთვის, ძალადობის შედეგად დაზარალებული ბავშვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისა და მისი უფლებების აღდგენისთვის საჭირო სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად.

კოდექსში ცალკე მუხლად არის გამოყოფილი ბავშვთა დაცვა სასკოლო სივრცეში[45], რომელიც მოიცავს ბავშვთა შორის ძალადობის როგორც პრევენციის, ისე ეფექტიანი მექანიზმის არსებობის აუცილებლობას. ანალოგიური პასუხისმგებლობა აქვს სკოლამდელი განათლების დაწესებულებებსაც.

თავის მხრივ ბავშვთან მომუშავე ნებისმიერი პირი თუ დაწესებულება პასუხისმგებელია ბავშვთა ძალადობისგან დაცვაზე. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის ბრძანება ნათლად განსაზღვრავს პროცედურებს, იმ შემთხვევაში როდესაც ბავშვზე ძალადობა ხდება. ბრძანების მიხედვით განსაზღვრულია რეფერირების პროცესში ჩართული სუბიექტების ნუსხა, რომლებიც ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის შემთხვევაში ვალდებულნი არიან დაიწყონ რეფერირების პროცედურა. რეფერირების პროცედურების მიზნებისათვის საფუძვლიანი ეჭვი შესაძლებელია წარმოიშვას, თუ არსებობს შემდეგი გარემოებები:

[45] ბავშვის უფლებათა კოდექსი, 39-ე მუხლი

- ბავშვის განცხადება, რომ მასზე ხორციელდება ან განხორციელდა ძალადობა.
- ბავშვის მიერ ტრავმის მიზეზების ახსნის შეუძლებლობა;
- მოწმის განცხადება, რომ იგი შეესწრო ძალადობის ფაქტს;
- მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის არაადეკვატური ქცევა, როგორიცაა:

- ბავშვის ტრავმის სიმძიმის შეუსაბამობა ტრავმის მიღების შესახებ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის მონათხრობთან;
- ბავშვის ტრავმის სიმძიმის შეუსაბამობა ტრავმის მიღების შესახებ სხვადასხვა პირთა მონათხრობებს შორის;
- მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის მონათხრობის დეტალების მუდმივი ცვლილება;
- მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის/სხვა პასუხისმგებელი პირის არაადეკვატური რეაგირება ბავშვის ტრავმაზე;
- ბავშვის მიერ ტრავმის მიზეზის აუხსნელობა;

- სხვა გარემოებები, რომლებიც მაღალი ალბათობით ქმნის საფუძველს ვარაუდისათვის, რომ ბავშვზე განხორციელდა ძალადობა.

ყველა ის დაწესებულება, სადაც ბავშვი იმყოფება, ვალდებულია განსაზღვროს რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში დროულად ჩააყენებს პოლიციას საქმის კურსში. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებში ჩართული სუბიექტის (დაწესებულების ან/და მისი უფლებამოსილი თანამშრომლის) მიერ ბავშვზე ძალადობის გამოვლენისა და ბავშვზე ძალადობის შესახებ ინფორმაციის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოსათვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს საართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

7. შეჯამება და რეკომენდაციები

ბავშვებში ბულინგსა და კიბერბულინგთან ბრძოლისთვის საერთაშორისო კანონმდებლობისა და კარგი პრაქტიკის საფუძველზე შემუშავებული რეკომენდაციები:

- ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და ინტერვენციის სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება, რომელშიც ბულინგისა და კიბერბულინგის სახელმწიფო პოლიტიკაც განისაზღვრება, სამოქალაქო სექტორისა და დარგის სპეციალისტების მონაწილეობის გზით;
- უსაფრთხო გარემოს შექმნა და შენარჩუნება ქუჩებსა და სხვა ადგილებში, სადაც ბავშვები და ახალგაზრდები ერთად იკრიბებიან და დროს ატარებენ. ასეთი პირობების შექმნა და შენარჩუნება ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის შესაბამის სამსახურებთან მჭიდრო თანამშრომლობითაა შესაძლებელი. მით უფრო, რაც ბავშვის უფლებათა კოდექსით ადგილობრივი თვითმმართველობებს მთელი რიგი უფლებამოსილებები გაუჩნდათ ბავშვთა დაცვისა და კეილდღეობის სფეროში;
- მუშაობა ბავშვთა უფლებების პროფესიონალთა მულტიდისციპლინურ გუნდთან, მათ შორის ფსიქოლოგებთან და სოციალურ მუშაკებთან, რათა ჩამოაყალიბონ და განახორციელონ სამუშაო ეფექტური პროგრამები ბულინგისა და ონლაინ ბულინგის პრევენციის, აღმოფხვრისა და გამოძიებისთვის;
- ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ საჩივრების შეტანისა და შეტყობინების სანდო, პოპულარული, კონფიდენციალური და ხელმისაწვდომი მექანიზმების შექმნა და განვითარება. ბავშვთა მიმართ ძალადობის ცხელი ხაზის - 111 არსებობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა;
- პოლიციელების განათლება და მომზადება ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში. პირი, რომლის პასუხისმგებლობაცაა ბულინგის ან ონლაინ ბულინგის მსხვერპლის, ან მოწმის, გამოკითხვა, უნდა მოქმედებს ბავშვის საუკეთესო

ინტერესის გათვალისწინებით მისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად, ინდივიდუალური მიდგომით და გააჩნდეს ამგვარი გამოკითხვის კომპეტენცია. პოლიციის განყოფილებაში უნდა იყოს ბავშვთა ოთახები ბავშვისთვის შესაფერისი სივრცით;

- ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენციის მონიტორინგის სისტემის ჩამოყალიბება, მათ შორის ძალოვანი უწყებების მიერ ბავშვების ბულინგისა და ონლაინ ბულინგის შესახებ საჭირო მონაცემების შეგროვება და ამ მონაცემების დამუშავების პროცესში პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფა;
- მშობელთა ცნობიერების ამაღლებისა და კომპეტენციების გაძლიერებისკენ მიმართული კამპანიების წარმოება;
- სკოლაში ბავშვთა მონაწილეობის გზით უსაფრთხო და ბავშვზე ორიენტირებული კლიმატის შექმნა - აღდგენითი მიდგომებისა და მედიაციის დანერგვა. პერსონალისა და მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება, მათ შორის, ბავშვთა მიმართ ძალადობის რეფერირების პროცედურებში;
- არაფორმალური, ახალგავშვებს ჰქონდეთ შესაძლებლობა ჩაერთონ სკოლისგარეზრდული და სათემო აქტივობების წახალისება, რათა ბაშე აქტივობებში.